ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 14 მარტი, 2016 | №61 (6987) | ფასი: 50 თეთრი

14 მარტიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
მუხრან მაჭავარიანი
100 ლექსი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „კადრების გავრცელებაზე პასუხი არასამთავრობოებმა და ჰამერბერგმა უნდა აგონ“



გვ.2

## ვინ და რატომ შეუშალა ხელი გამოძიებას



„ახლა უკვე განადგურებული ნივთმტკიცებებიდან შეიძლებოდა კონკრეტული სასტუმროების იდენტიფიცირება. დაიკითხებოდა იქაური პერსონალი და დადგინდებოდა იმ პირთა წრე, რომლებიც ფარულ თვალთვალს ახორციელებდნენ“



ნიკოლოზ მჟავანაძე: „მე და კახა კახიშვილი ამ ფირების განადგურების წინააღმდეგი ვიყავით“

## რა ნაღმები დატოვა სააკაშვილის ხელისუფლებამ და რით იმუქრება მეგის ქარდავა?



გვ.6



კვირიკაშვილი: „ეს არის დარტყმა სახელმწიფოზე და ჩვენი პასუხი ამ დარტყმაზე იქნება უმკაცრესი“

## საკრებულოს წევრები საპატრულო ეკიპაჟზე მეტ საწვავს მოიხმარენ




გვ.2



გვ.3

## მამუკა არეშიძე: „ამ ვიდეოს გავრცელება ხელისუფლებას არ აწყობდა“

ISSN 1987-9385



## ირაკლი ალასანია: „ბიძინა ივანიშვილი უშიშროების სტრუქტურებს მართავს“

გვ.3

„მსგავსი „გასროლა“ ვერცერთ პოლიტიკურ გუნდს შედეგს ვერ მოუტანს“



## რამაზ საყვარელიძე: „კოალიციის ფორმატი არ შეიცვლება“

გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „კადრების გავრცელებაზე პასუხი არასამთავრობოებმა და ჰამერბერგმა უნდა აგონ“

## ვინ და რატომ შეუშალა ხელი გამოძიებას

შორენა მარსაგიშვილი






**11 მარტს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნებას ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ოპოზიცია ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს, ხელისუფლება ყველაფერში ყოფილ ხელისუფლებას ადანაშაულებს.**

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე კი პრეტენზიებს არასამთავრობოებსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელ თომას ჰამერბერგს უყენებს. მისი მტკიცებით, რამდენიმე წლის წინ სწორედ მათ არ მისცეს „ქართულ ოცნებას“ გამოძიების ჩატარების უფლება.

კადრების გავრცელებაში ის ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს და ამტკიცებს, რომ ამით ყოფილმა ხელისუფლებამ კონკრეტულ პარტიაზე შური იძია.

– მე არ დავასახელებ იმ ადამიანს, რომელზეც ეს კადრები გავრცელდა, მაგრამ ის იმ პარტიას წარმოადგენს, რომელიც სააკაშვილმა თავისი მიზნებისთვის ვერ გამოიყენა. ამ პარტიამ ღიად თქვა, რომ მხარს დაუჭერს კონსტიტუციაში ქორწინებასთან დაკავშირებული ჩანაწერის გაკეთებას. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებას აპირებდნენ. ამ ბინძური კადრების გავრცელებით ნაციონალებმა შური იძიეს, – აღნიშნავს მჟავანაძე.

მისი მტკიცებით, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ხელისუფლებას ასეთი რამის გაკეთება არაფერში აწყობდა.

– ეს ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გაუკეთებიათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლებას ეს ფირები არ აქვს. 2013 წლის ზაფხულში საჯაროდ მოხდა მათი განადგურება. ყველამ ვიცით, რომ ამ ფაილების ასლები საქართველოდან გაქცეული ნაციონალების ხელშია, რომლებიც როდის რას გამოაგდებენ, კაცმა არ იცის.

ეს ყველაფერი ნაციონალების ნახელავი რომ არის, ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. მაგალითად, ინტერნეტში ეს ფირები 2-3 წუთის დადებული იყო, რომ ყოფილი ხელისუფლების წევრები გამოვარდნენ და ერთი ამბავი ატეხეს. ყველაზე მეტად ნიკა გვარამია ყვიროდა, რომელიც წლების განმავლობაში თავად მონაწილეობდა ასეთი სიბინძურეების გადაღებაში, – აცხადებს უფლებადამცველი.

„ახალ თაობასთან“ საუბარში მჟავანაძე ამბობს, რომ ასეთი კადრები მომავალშიც შეიძლება გავრცელდეს. მისი მტკიცებით, ამის აღკვეთა საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება:

– არცერთი ქვეყნის ხელისუფლებას არ ძალუძს, აღკვეთოს ამა თუ იმ კადრების გავრცელება ინტერნეტში. ავიღოთ თუნდაც ისლამური სახელმწიფო, რომელიც ინტერნეტში ათავსებს ტყვეების სიკვდილით დასჯის კადრებს. მთელი ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების სპეცსამსახურები ცდილობენ, ამ კადრების გავრცელებაში ხელი შეუშალონ, მაგრამ არაფერი გამოსდით. კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია სისტემა, რომელიც ინტერნეტში ვინმეს კადრების ატვირთვაში შეუშლის ხელს.

უფლებადამცველის განმარტებით, საქმე სხვაგვარად იქნებოდა, არასამთავრობო ორგანიზაციებს ხელისუფლებისთვის ხელი რომ არ შეეშალათ.

– როდესაც ნივთმტკიცებები განადგურებულია, იქ საქმის გამოძიება შეუძლებელია. კარგად მახსოვს, არასამთავრობოები როგორ ითხოვდნენ ფარული ჩანაწერების განადგურებას. განსაკუთრებული აქტიურობით ყველაფრის ექსპერტი ზვიად ქორიძე გამოირჩეოდა. აქტიურობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. ხელისუფლება იძულებული გახდა, მნიშვნელოვანი მტკიცებულებები გაენადგურებინა, – ამბობს მჟავანაძე.

ის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თომას ჰამერბერგს პასუხისმგებლობის აღებისკენ მოუწოდებს. უფლებადამცველი ამტკიცებს, რომ ისინი არა მარტო გავრცელებულ კადრებზე აგებენ პასუხს, არამედ იმაზეც, რაც მომავალში მოხდება.

– მას შემდეგ, რაც ამ ფირების არსებობის შესახებ გახდა ცნობილი, მათ განადგურება-არგანადგურებაზე დაიწყო დავა. ერთადერთი, ვინც ამას ვეწინააღმდეგებოდით, ვიყავით მე და კახა კახიშვილი. პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განადგურების წინააღმდეგი იყო იმჟამინდელი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც. ფირების განადგურება მოითხოვა საქართველოში ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში თომას ჰამერბერგმაც. ამბობდნენ, ეს კადრები უკანონოდ არის მოპოვებული და მათზე არ შეიძლება, გამოძიება დაიწყოსო, – იხსენებს 3 წლის წინანდელ ამბავს უფლებადამცველი.

მისი თქმით, დასავლეთისა და ადგილობრივი არასამთავრობოების ზეწოლის შედეგად პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები საჯაროდ გაანადგურეს. განადგურებას მხოლოდ წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ფირები გადაურჩა. მათზე სათანადო სტრუქტურებმა გამოძიება დაიწყეს.

მჟავანაძე თავადაც ადასტურებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები კანონდარღვევით იქნა მოპოვებული. ამის მიუხედავად, დღემდე ამტკიცებს, რომ მათი განადგურება დაუშვებელი იყო.

აი, რა არგუმენტები აქვს უფლებადამცველს:

– პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული, მაგრამ ეს მასალა წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას. ამ კადრების მოპოვებაში მთელი სისტემა იყო ჩართული. ჩვენ აუცილებლად უნდა გაგვერკვია, რა მიზნებით ხდებოდა თვალთვალი.

ახლა უკვე განადგურებული ნივთმტკიცებებიდან შეიძლებოდა კონკრეტული სასტუმროების იდენტიფიცირება. დაიკითხებოდა იქაური პერსონალი და დადგინდებოდა იმ პირთა წრე, რომლებიც ფარულ თვალთვალს ახორციელებდნენ. აქედან გამომდინარე, დადგინდებოდა მიზანი, თუ რატომ მიდიოდა თვალთვალი. ოპონენტების გარდა, ნაციონალებს საკუთარი თანაგუნდელებიც ჰყავთ გადაღებული. ეს შემთხვევით არ გაკეთდებოდა.

მჟავანაძე არასამთავრობოებსა და ჰამერბერგს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევაშიც ადანაშაულებს და ამბობს:

– ეს ადამიანები კანონის წინააღმდეგ წავიდნენ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს მტკიცებულებათა დართვის, შენახვისა და განადგურების წესს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. გამოძიებისთვის ღირებული მასალის სისხლის სამართლის საქმეზე დართვას წყვეტს გამომძიებელი, ხოლო განადგურებას – სასამართლო. ამდენად, გაუგებარი იყო მოქმედ კანონმდებლობასთან შეუთავსებელი, გამოძიებისა და სასამართლოს კომპეტენციაში კომისიის მხრიდან უხეში ჩარევა.

უფლებადამცველი ამტკიცებს, რომ ფირების განადგურებით საერთაშორისო კანონმდებლობაც დაირღვა.

– ფირების განადგურების მომხრეებმა ერთ-ერთ არგუმენტად საერთაშორისო გამოცდილებაც მოიყვანეს. ბევრს საუბრობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის მე-8 მუხლზე, რომლის მიხედვითაც ასეთი საქმეების გამოძიება არ ხდებოდა.

ამის მიუხედავად, მათ ვერცერთი კონკრეტული საქმე ვერ დაასახელეს. წარმოუდგენელია, რომელიმე დე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# საკრებულოს წევრები საპატრულო ეკიპაჟზე მეტ საწვავს მოიხმარენ

შორენა მარსაგიშვილი



**თბილისის საკრებულო ახალ სკანდალში ეხვევა. საკრებულოს თანამდებობის წევრები საწვავის მოხმარებაში ახალ-ახალ რეკორდებს ამყარებენ.**

**2014 წელს გამოქვეყნებული კვლევით ცნობილი გახდა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტყემალაძე ზომაზე მეტ საწვავს მოიხმარდა. მის მიერ მოხმარებულმა საწვავმა „ქართული ოცნების“ წევრებსაც კი გამოათქმევინა შეშფოთება.**

ამ თემაზე ისეთი სკანდალი აგორდა, წესით, ტყემალაძეს საწვავი უფრო მოკრძალებულად უნდა მოეხმარა, თუმცა მოლოდინმა არ გაამართლა. საწვავის მოხმარებაში ჩემპიონატის ლიდერი კი მხოლოდ იმიტომ ვერ გახდა, რომ მას სხვამ გაუწია კონკურენცია.

მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ მასალებიდან ირკვევა, რომ 2 თვის განმავლობაში ყველაზე მეტი საწვავი საკრებულოს ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიამ მოიხმარა.

როგორც „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, 2 თვის განმავლობაში სამუშიამ 993 ლიტრი საწვავი მოიხმარა.

ყოფილმა ჩემპიონმა გიორგი ტყემალაძემ კი მასზე 25 ლიტრით ნაკლები საწვავი მოიხმარა და 968 ლიტრით მეორე ადგილზე გავიდა.

„მედიატორში“ საკრებულოს მაღალჩინოსნებს ისიც დაუთვალეს, თუ საშუალოდ რამდენ ლიტრ საწვავს მოიხმარდნენ დღეში.

– თუ გავითვალისწინებთ სამუშაო დღეების რაოდენობას, მაგალითად, იანვარში ყოველ სამუშაო დღეს ბატონები საშუალოდ 26-27 ლიტრ საწვავს მოიხმარდნენ, რაც დაახლოებით 220 კილომეტრის გავლას უდრის, – განუცხადეს „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრში.

„მედიატორში“ აეჭვებთ საკრებულოს მაღალჩინოსნების მიერ დაფარული კილომეტრები.

– დღეში 220 კილომეტრის გავლა მარტივი საქმე არ არის. იმავე კილომეტრაჟს დღის განმავლობაში ძალიან აქტიური ტაქსისტიც ვერ გადის და დაახლოებით იგივეა, რასაც საპატრულო ეკიპაჟი წვავს ყოველდღიური მორიგეობისას, – გვითხრეს მონიტორინგის ცენტრში.

საწვავის ხარჯვა მრეწველების ფრაქციასაც ყვარებია. აღსანიშნავია, რომ გიორგი ტყემალაძე ამ ფრაქციას წარმოადგენს.

2 თვის განმავლობაში მრეწველთა ფრაქციის წევრებმა 919 ლიტრი ბენზინი მოიხმარეს.

ტყემალაძის, სამუშიასა და მრეწველთა ფრაქციის ფონზე მოკრძალებულად გამოიყურება საკრებულოს თავმჯდომარის მადა.

– გიორგი ალიბეგაშვილმა 2 თვეში მხოლოდ 409 ლიტრი მოიხმარა, რაც ორჯერ ჩამოუვარდება სამუშიასა და ტყემალაძის მოხმარებულს, – აღნიშნავენ „მედიატორში“.

მოხმარებულ საწვავთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარისთვის ჯაბა სამუშიასაც დავუკავშირდით. კომისიის თავმჯდომარე ადასტურებს, რომ მართლაც ამდენი საწვავი მოიხმარა.

– დიახ, მოხმარებულია 993 ლიტრი საწვავი, მაგრამ მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ეს მანქანა მხოლოდ მე არ მემსახურება. ამ მანქანით სარგებლობენ ჩვენი კომისიის წევრებიც, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სამუშიამ.

მისი თქმით, ქონების მართვის კომისიის წევრებს ყოველდღიურად უამრავი ობიექტის ნახვა უწევთ.

– წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენ ჩვენს საქმეს სერიოზულად ვუდგებით, ყველა ობიექტს საგულდაგულოდ ვსწავლობთ. კომისიის წევრებს მთელი თბილისის მასშტაბით უწევთ სიარული. ხან მანქანა მთელი დღე დადის. მე თანამშრომლებს ვერ ვეტყვი, რომ ობიექტის სანახავად საზოგადოებრივი ტრანსპორტით წავიდნენ, – აღნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

ის ამბობს, რომ ეს მანქანა მომავალშიც ბევრ საწვავს დახარჯავს.

– პოლიტიკაში კიდევ დიდხანს ვაპირებ დარჩენას და არავის ვათქმევინებ, რომ რომელიმე ობიექტი უკანონოდ გასხვისდა. ყველაფერს დეტალურად ვამოწმებთ და მომავალშიც ასე გაგრძელდება. ჩვენ არა ვართ ნაციონალები, ასე მარტივად რომ ყიდდნენ ბაღებსა და სკვერებს, – აცხადებს ჯაბა სამუშია.

◆ ◆ ◆

საწვავის მოხმარების გარდა, „მედიატორმა“ იმის გარკვევაც ცადა, რამდენად ხშირად ხვდებიან საკრებულოს წევრები მოსახლეობას.

ამ ინფორმაციის გასაჯაროებისგან საკრებულომ თავი შეიკავა.

– მოვითხოვეთ ინფორმაცია დეპუტატების მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ საკრებულოს წევრების ყველა აქტივობა დევს მათ ოფიციალურ საიტზე და იქ შეგვეძლო გვენახა, – აღნიშნავენ „მედიატორში“.

საკრებულოს საიტზე „მედიატორს“ საინტერესო სურათი დახვდა.

– აღმოჩნდა, რომ ბატონი ტყემალაძე 2 თვის განმავლობაში მოქალაქეებს მხოლოდ ერთხელ, 18 იანვარს, დიდუბის რაიონში შეხვდა და ასევე ამ დროის განმავლობაში დაესწრო ღონისძიებას სპორტის სასახლეში – 6 იანვარს. ჯაბა სამუშიაც მხოლოდ ერთხელ შეხვდა მოქალაქეებს – 25 თებერვალს კერძო სკოლას ესტუმრა. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ამ ორი ადამიანის საქმიანობა უკავშირდება მხოლოდ საკრებულოს შენობას და საინტერესოა, სახლიდან საკრებულომდე და პირიქით როგორ ახერხებენ ყოველდღიურად 27 ლიტრი საწვავის მოხმარებას და მინიმუმ 220 კილომეტრის გავლას, – აცხადებენ მონიტორინგის ცენტრში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „ამ ვიდეოს გავრცელება ხელისუფლებას არ აწყობდა“

ნონა ცაბაძე

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ექსპერტი მამუკა არეშიძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

*– ბატონო მამუკა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი თითს ხელისუფლებისკენ იშვერს, რომ სწორედ ის არის ამ ვიდეომასალის გავრცელების ავტორი. როგორია თქვენი შეფასებები? შედის ეს ხელისუფლების ინტერესში?*

– ასეთი კონსოლიდირებული თითის გაშვერა ხელისუფლებისკენ ეჭვს აღმიძრავს, რომ ეს თემაც, როგორც ყველა სხვა, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არის გამოყენებული.

*– ანუ მიზანმიმართული პროცესია?*

– რასაკვირველია. თვითონ აქვთ ხოლმე ფრაზა, რომელსაც ძალიან აქტიურად იყენებენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ნურავის დავაბრალებთ დანაშაულს. როგორც წესი, ამ მიდგომას თავიანთი საჭიროების მიხედვით არღვევენ ხოლმე. ვინ იცის, რომ ეს ხელისუფლებამ გამოიყენა?! მოდით, დავსვათ კითხვა – ვის აწყობს ამ კადრების გამომზეურება?!

*– ვის აწყობს?*

– ხელისუფლებას რაში უნდა აწყობდეს? ჯერ ერთი, ის ადამიანი, რომელიც ამ კადრებზეა გამოსახული, აღარ არის ხელისუფლებაში, არც აქტიურად ფიგურირებს ოპოზიციურ ველზე ანუ ამ პირის დისკრედიტაციისთვის ეს აღარ გამოდგება. არც არის მიზანი, რომ ამ ადამიანის დისკრედიტაცია მოხდეს. ამით რას მიიღებდა ხელისუფლება?

ასეთი სკანდალი ხელისუფლების წისქვილზე არ ასხამს წყალს. ამით ხელისუფლების დისკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს ხოლმე. იმდენად ალოგიკურია ზოგიერთი არასამთავრობოსა და ოპოზიციური პარტიის დასკვნა, რომ მე სერიოზული ეჭვი მიჩნდება.

**„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ კადრების დემონსტრირებით ირაკლი ალასანიას რაღაც ჩრდილი მიადგება, ცდება. უნდა იცნობდე საკუთარი ხალხის ფსიქოლოგიას, რომ იცოდე, რა შედეგი მოჰყვება ამას“**

*– რის თაობაზე?*

– ან თვითონ ხელოვნურად იყენებენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ან სწორედ რომელიმე ოპოზიციური ძალის მიერ არის განხორციელებული მიზანმიმართულად ზუსტად ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით.

*– რა მოხდა, რეალურად არ განადგურდა კადრები თუ არსებობს ამ კადრების ასლები, რომლებიც ვერ ამოიღეს?*

– როდესაც მიდიოდა საუბარი, რომ კადრები განადგურდა, მე და ის ადამიანები, ვინც ამ საქმეში კარგად ვიყავით ჩახედული, მაშინვე ვამბობდით, რომ კადრების განადგურება მთლიანად შეუძლებელი იყო. შეიძლება ხელისუფლების წარმომადგენლებმა მთლიანად გაანადგურეს ის კადრები, რომლებიც მათ ხელში აღმოჩნდა, მაგრამ არსებობდა ამ კადრების დუბლიკატები.

*– ამის შესახებ ფლობთ ინფორმაციას?*

– სულ მცირე, რაც მე პირადად ინფორმირებული ვიყავი, ეს კადრები იყო კიდევ ორ ქალაქში, თბილისის გარდა.

*– რომელ ქალაქებში?*

– ბრიუსელსა და სოჭში, თან მე ვიცი ადამიანები, რომლებიც ამ კადრების მეშვეობით ამ ქალაქებიდან ცდილობდნენ ხელისუფლებასთან ვაჭრობას. ორივე იყო წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანი.

*– ვის გულისხმობთ? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?*

გაგრძელება მე-4 გვერდზე



## კიევში ე.წ. კანონიერი ქურდი, ყურშა, დააკავეს

კიევში კრიმინალური ავტორიტეტი, გოჩა ჯინჭარაძე, მეტსახელად „ყურშა“ დააკავეს.

ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელის მოადგილე ვადიმ ტროიანზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც ადგილობრივი მედია აღნიშნავს, ჯინჭარაძე ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერია და არაერთხელ არის ნასამართლევი საქართველოსა და რუსეთში, ინტერპოლის ბაზაში შეყვანილია „კანონიერ ქურდთა“ კატეგორიაში „ყურშას“ სახელით.

– უკრაინის ტერიტორიაზე ის იმყოფება ახალი გვარით – კახიძით. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის დროს ის ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებასა და კრიმინალურ პროცესებზე გავლენის გავრცელებას. კახიძე (ჯინჭარაძე) გოჩას აკრძალული ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა 2017 წლის სექტემბრამდე, მაგრამ არალეგალურად შემოაღწია. ჩვენ მას იძულებით გავგზავნით საქართველოში, იქ კი თავად გადაწყვეტენ, რა მოიმოქმედონ მასთან მიმართებით, – აცხადებს ტროიანი.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ალასანია: „ბიძინა ივანიშვილი უშიშროების სტრუქტურებს მართავს“

ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ახალმა ხელისუფლებამ მისი წინამორბედისგან გადმოილოცა ის ადამიანები, რომლებიც სიხარულით ასრულებდნენ ფარულ ვიდეოჩანაწერებს.

ირაკლი ალასანია ამბობს, რომ ფარულ ვიდეოჩანაწერებზე შეღწევადობა მხოლოდ ხელისუფლებას აქვს. როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა „კურიერის“ ეთერში განაცხადა, საზოგადოებამ გასცა აბსოლუტურად სწორი და ღირსეული პასუხი. ახლა იგივე პასუხი უნდა გასცეს ხელისუფლებამაც.

**ირაკლი ალასანია:**

– ბიძინა ივანიშვილი მართავს უშიშროების სტრუქტურებს. ეს ვერსიაც უნდა განიხილებოდეს სამართალდამცავების მიერ. ხელისუფლებას აქვს



მხოლოდ შეღწევადობა ასეთ მასალებთან. ისინი არ იქნა განადგურებული, ისინი დევს შესაბამის სტრუქტურებში. მე ვერ გამოვრიცხავ ვერაფერს. ამ ხელისუფლებამ როგორც გადმოიბარა მურუსიძე, შოთაძე და სხვა მონური ერთგულების ხალხი, ისევე გადმოილოცა ის ადამიანები, რომლებიც სიხარულით ასრულებდნენ ასეთ ჩანაწერებს.

საზოგადოებისა და თქვენი პასუხი მარწმუნებს, რომ ავასრულებთ იმ ოცნებას, რომელიც გვაქვს, ავაშენოთ თანამედროვე, ლიბერალური ქვეყანა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდება, თუ ეს ადამიანები არ დაისჯებიან. მე ვპირდები საზოგადოებას, რომ ჩვენ ერთად დავასრულებთ ასეთი ჩანაწერების გაკეთებასა და გავრცელებას.

**ნიუპოსტი**

## შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილის რეჟიმი პორნოსკანდალით არის დაკავებული“



– ივანიშვილის რეჟიმი პორნოსკანდალით არის დაკავებული და არ აინტერესებთ, აქ რა ხდება, – აღნიშნული განცხადება ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა სოფელ ჯარიაშენში საოკუპაციო ხაზთან არსებული მდგომარეობის გაცნობის შემდეგ გააკეთა.

ნათელაშვილი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრებს ჯარიაშენში ჩასვლისაკენ მოუწოდებს და გაეროს უშიშროების საბჭოს მოწვევას სთხოვს. ნათელაშვილი ხელისუფლებას ასევე მიმართავს და სთხოვს, რომ დაუყოვნებლივ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე რუსეთის მთავრობის ლიდერების წინააღმდეგ.

რაც შეეხება საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებას, „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ამ მომენტისთვის გზის მშენებლობის სამუშაოები შეჩერებულია და ტერიტორიაზე რუსი ოკუპანტები აღარ იმყოფებიან.

**ნიუპოსტი**

## „კადრების გავრცელებაზე პასუხი არასამთავრობოებმა და ჰამერბერგმა უნდა აგონ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მოკრატიულ ქვეყანაში აღმოაჩინონ პირადი ცხოვრების ამსახველი ასეთი ზღვა მასალა და ეს გამოუძიებელი დატოვონ, – აღნიშნავს უფლებადამცველი.

◆ ◆ ◆

ამ ფირების გარშემო ატეხილი დავის დროს არასამთავრობო ორგანიზაციები პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების განადგურებას სხვადასხვა მიზეზით ითხოვდნენ.

რამდენიმე მათგანმა საქართველოს ოპერატიული საქმიანობის შესახებ კანონი მოიშველია. მათი თქმით, ამ ნორმათა შესაბამისად, უკანონოდ მოპოვებული მასალის შენახვა აკრძალულია და ის უნდა განადგურდეს.

ამ მოსაზრებას მჟავანაძე არგუმენტმოკლებულად მიიჩნევს.

– კანონი ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ არეგულირებს ოპერატიული თანამშრომლების საქმიანობას და მათ კომპეტენციასა და უფლებამოსილების ზღვარს. ამ კანონის უხეშად ან სისტემატურად დარღვევა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საქმე აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოძიებული, – აღნიშნავს მჟავანაძე.

იმის გამო, რომ გამოძიება არ მოხდა, ადამიანები, რომლებიც უკანონო თვალთვალს ახორციელებდნენ, დღემდე დაუსჯელები არიან და კვლავაც ძველ თანამდებობებზე სხედან.

– თავიანთი უპასუხისმგებლო საქმიანობით არასამთავრობოებმა ამ დამნაშავეების ამნისტირება მოახდინეს. მათ რომ ხელი არ შეეშალათ, სრულყოფილი გამოძიება ჩატარდებოდა და გაირკვეოდა, ვინ და რატომ იღებდა ამ ფირებს. საუბარი 28.000 ფაილზეა. ეს არის უზარმაზარი ციფრი. გამოდის, რომ ყველას უსმენდნენ და უღებდნენ. ეს შემთხვევითი არ ყოფილა და მას რაღაც მიზანი ჰქონდა, – მიიჩნევს უფლებადამცველი.





### ნიკოლოზ მჟავანაძე: „მე და კახა კახიშვილი ამ ფირების განადგურების წინააღმდეგი ვიყავით“

ის არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარი დანაშაულის აღიარებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ხელისუფლება, მათი წყალობით, ამ დანაშაულს ველარ გამოიძიებს.

– მაინტერესებს, რა ნამუსით სთხოვენ ხელისუფლებას ამ საქმეების გამოძიებას. მასალები მათი მოთხოვნით განადგურდა. მტკიცებულებების გარეშე კი რამის გამოძიება ძნელია. ამიტომაც, თუ რამე კიდევ გავრცელდება, ამაზე მათ უნდა აგონ პირველ რიგში პასუხი და არა – ხელისუფლებამ, – აღნიშნავს მჟავანაძე.

მჟავანაძეს არასამთავრობოების დაჟინება ეჭვებს უჩენს:

– უცხო ქვეყნების დავალებებს რომ ასრულებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რატომ ითხოვდნენ ასე დაჟინებით ამ ფირების განადგურებას, არ ვიცი. შესაძლოა, მათზეც ჰქონდათ ნაციონალებს რაიმე გადაღებული.

მჟავანაძე არ გამორიცხავს, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კვლავაც გაავრცელონ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. ის შიშობს, რომ ამ კადრებით გარკვეულ პირებს შესაძლოა არეულობაც კი მოაწყობინონ.

– ამ მასალების ასლები ნაციონალების ხელშია. ადამიანები, რომლებიც ამ ფირებზე არიან ასახული, დაუცველები დავტოვეთ. არავინ იცის, რა ელით მათ მომავალში. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მათ შესაძლოა ახლაც აშანტაჟებენ. ინტერნეტში ამ კადრების გამოყრა უპრობლემოდ შეიძლება. აქედან გამომდინარე, ნაციონალებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბევრი ადამიანის გამოყენება შეუძლიათ. ქვეყანაში, შესაძლოა, უმართავი პროცესები დაიწყოს, – აღნიშნავს უფლებადამცველი.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი გაჩეჩილაძე: „ივანიშვილი კოალიციის საქმეებში აქტიურად არ ჩაერევა“

გულიკო ბალაძე



პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობას“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, რატომ აღშფოთდით რესპუბლიკელების პოზიციის გამო, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი პრემიერს ქორწინებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებას?***

– აღშფოთებული არ ვარ, უბრალოდ, გამიკვირდა. თუ პოლიტიკური პარტია საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მოღვაწეობს, მისი მხრიდან ამგვარი განცხადება სწორად არ მიმაჩნია. არ შეესაბამება ქართულ რეალობას, თუმცა, ერთიანი პოზიცია რესპუბლიკელებშიც არ არის.

***– რესპუბლიკური პარტია ემზადება კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გასასვლელად, მაგრამ ფიქრობს, ახლა გავიდეს თუ არჩევნების შემდეგ. თქვენ ეს არ ამოიკითხეთ უსუფაშვილის განცხადებებში?***

– გულწრფელად რომ გითხრათ, არავინ არაფერი იცის. მე არ ვარ „ქართული ოცნების“ ბლოკის წევრი, მაგრამ იქ ბევრი მეგობარი მყავს. ჯერჯერობით გაურკვევლობაში არიან. ამიტომ განცხადებები, რომლებიც კეთდება სხვადასხვა პარტიის მხრიდან, დაბნეულობის ბრალია. ყველაფერი გაირკვევა, ალბათ, მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში, როდესაც მოახლოვდება არჩევნების თარიღი და დაიწყება პიარკამპანია. პიარკამპანიას ვერ დაიწყებ, თუ არ ხარ გარკვეული, ცალკე გადიხარ თუ ბლოკში ხარ. ამიტომ ნუ ვიჩქარებთ.

***– დაბნეულობა იმის ბრალია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჯერჯერობით ხმას არ იღებს და კოალიციის სუბიექტებს არ აძლევს გარანტიას, რომ ისინი კოალიციაში აუცილებლად იქნებიან?***

– არა, მაგის ბრალი არ არის. ბიძინა ივანიშვილი, არა მგონია, ამ საკითხში აქტიურად ჩაერიოს. ცენტრალური პოლიტიკური ორგანიზაცია არის პარტია ქართული ოცნება“.

***– ამიტომ გკითხეთ ბიძინა ივანიშვილის როლზე.***

– დღეს პარტია „ქართული ოცნება“ არის სახელისუფლებო პარტია, მის გარშემო არიან შეკრებილი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები მეტ-ნაკლები სიმრავლით. თვითონ პარტია „ქართული ოცნება“ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ჯერ ლიდერიც კი არ აურჩევიათ. მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილი წავიდა პოლიტიკიდან, „ქართული ოცნების“ ყრილობა უნდა ჩატარდეს, სადაც, ალბათ, კვირიკაშვილს აირჩევენ, მერე კი ლეგიტიმური სახე მიეცემა ყველა გადაწყვეტილებას, რომლებსაც „ქართული ოცნება“ მიიღებს სხვა პარტიებთან ურთიერთობაში. დღეს მომლაპარაკებელი ვინ უნდა იყოს სხვა პარტიებთან, როცა პარტიას ჯერჯერობით ლიდერი არ ჰყავს.

***– კვირიკაშვილი ლიდერი არ არის?***

– არა, კანონმდებლობის მიხედვით, ყრილობის მიერ უნდა იყოს არჩეული.

***– რატომ რჩება რესპუბლიკური პარტია კოალიციაში ან რატომ შეიძლება დარჩეს?***

– კოალიციაში მყოფ ყველა პარტიას აქვს სურვილი, ისევ იმ შემადგენლობით გავიდნენ არჩევნებში. კოალიციაში ყოფნით უფრო იოლია შედეგის მიღწევა, ვიდრე დამოუკიდებლად. დამოუკიდებლად არჩევნებზე გასვლას ძალიან დიდი რესურსი სჭირდება, როგორც საფინანსო, ისე ადამიანური.

***– გადახალისება მხოლოდ პარტია „ქართულ ოცნებას“ სჭირდება?***

– თქვენ, ალბათ, კალაძის განცხადებას ეხმიანებით, რომელმაც თქვა, რომ პოლიტიკაში ახალი სახეები უნდა მოვიდნენ. ეს სხვებმაც თქვეს. კალაძე არის პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი. რა თქმა უნდა, ის აკეთებს განცხადებას საკუთარი პარტიის პერსპექტივასთან დაკავშირებით.

***– გადახალისება სხვა პარტიებს არ სჭირდებათ?***

– ყველა პარტიას სჭირდება გადახალისება, მათ შორის მწვანეთა პარტიასაც. მწვანეთა პარტია 1988 წელს არის შექმნილი. ბევრჯერ მოხდა გადახალისება, მაგრამ კიდევ მოითხოვს.

***– გადახალისება, ალბათ, იმისთვისაც არის საჭირო, კოალიციური პარტიებიდან იგივე სახეები რომ არ აღმოჩნდნენ პარლამენტში, რომლებიც დღეს არიან.***

– კოალიცია თუ შედგა, ეს მათი გადასაწყვეტია. მთავარია, „ქართული ოცნება“, როგორც ძირითადი პარტია და ორთქლმავალი, რა სახეს მიიღებს და როგორი ფორმით ჩამოყალიბდება.

„ქართული ოცნება“ არის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის, მემარცხენე-ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაცია. მას წესდებაშიც ეგ უწერია და ცოტა ხნის წინ სოციალისტურ ინტერნაციონალშიც გაწევრიანდა. ასეთი პარტიები ძალიან მცირეა. მემარჯვენე-ლიბერალური პარტიები უფრო მეტია, ვიდრე მემარჯვენე-ცენტრისტული.

***– მწვანეთა პარტია როგორი მიმართულებისაა?***

– მწვანეთა პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულებისაა და მთელ მსოფლიოში ისინი ერთად არიან.

გიორგი გაჩეჩილაძემ ვიზალიბერალიზაციის პროცესიც შეაფასა და რუსეთის გზავნილიც, რომ შეიძლება საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმოს.

– ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია ძალიან სერიოზული მიღწევაა. სასიხარულოა, რომ ეს დაჩქარებულ ტემპებში ხდება. 2012 წლის შემდეგ დაჩქარებული ტემპით მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამის შემადგენელია ყოვლისმომცველი და თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, რომელიც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რადგან საშუალებას გვაძლევს, 500-მილიონიანი მაღალმსყიდველობითუნარიანი მოსახლეობით დასახლებულ ევროპის ბაზრებზე ჩვენი პროდუქცია შევიდეს.

ამის დაგვირგვინება არის ვიზალიბერალიზაცია. ფაქტობრივად, ყველა ის ძირითადი კონკურენტი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან, ამით ფინალში გადის. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირი მზად არის, საქართველო მის შემადგენლობაში მიიღოს.

***– პროცესის დაჩქარება რამ გამოიწვია?***

– 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მკვეთრად გამოხატული დასავლური ორიენტაციისაა. მსოფლიოში ყველას გაუჩნდა კითხვები ნაციონალური მოძრაობის საგარეო ორიენტირებზე. ის შედეგები, რომლებიც ნაცმოძრაობამ დატოვა, რეალურად საქართველოში რუსეთის ინტერესების გაძლიერებაა.



**„აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი საქართველოს უსაფრთხოების გარანტები არიან“**

ეს რუსული ეკონომიკის მომძლავრებას ეხება. ენერგოობიექტები რუსული სახელმწიფო კომპანიების ხელში გადაიყვანეს. ამას ემატება სამხედრო ბაზების რეანიმაცია და სხვადასხვა საკითხი, სადაც გამოიკვეთა რუსული ინტერესების გაძლიერება. ამიტომ რუსული მიმართულების პოლიტიკური ძალა ნაციონალების სახით ჩამოშორებულ იქნა საქართველოს ხელისუფლებიდან.

***– როგორ ეთანადება ერთმანეთს ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია და რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება?***

– ძალიან მეეჭვება, რუსეთთან სავიზო რეჟიმი მალე გაუქმდეს. თუ რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმდება, არ იქნება ცუდი, იქ უამრავი ჩვენი თანამემამულეა, თუმცა, იმდენი აღარ, რამდენიც ადრე, რადგან რუსეთში ეკონომიკური კრიზისია. მაინც ვფიქრობ, რომ რუსეთი ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

***– რა შეუშლის ხელს?***

– მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი მაინც არ წავა საქართველოსთან რეალური დათბობის გზით. რუსეთს აშფოთებს ყველაფერი, რაც ხდება დღეს საქართველოში. ეს არის სამი დიდი გეოპოლიტიკური ძვრა – პროექტები, რომლებიც დღეს ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.

***– კერძოდ?***

– აბრეშუმის გზის პროექტი, რომელიც არის ჩინეთის, შუა აზიის, აზერბაიჯანის ტვირთების გადაზიდვის საშუალება საქართველოს გავლით დასავლეთში. ამ უზარმაზარ პროექტს ახლა მიება ანაკლიის პორტის მშენებლობა. ამერიკელები შემოდიან და ახორციელებენ მშენებლობას. ეს ორი უზარმაზარი გიგანტი მოთამაშე მსოფლიოში, ჩინეთი და შეერთებული შტატები, საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებენ თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს დაცულობა, უსაფრთხოება და განვითარების ტემპები ძალიან იზრდება. ეს ორი გიგანტი დაინტერესებული იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებითა და განვითარებით. ამას დაამატეთ მესამე გიგანტი – ევროკავშირი, რომელიც ელოდება შაჰდენიზი 2-ის ფუნქციონირების დაწყებას. ეს არის გაზსადენი.

პარალელურად საქართველოში 16 მილიარდმა კუბურმა მეტრმა აზერბაიჯანულმა გაზმა უნდა გაიაროს და ამ გზით წავიდეს ევროკავშირში. ევროკავშირი, ჩინეთი და აშშ თავიანთი სტრატეგიული ინტერესებით საქართველოს უსაფრთხოების გარანტი უნდა გახდნენ. წარმოიდგინეთ, ამ პირობებში ჩრდილოელი მეზობელი როგორი შეშფოთებული იქნება.

***– ანაკლიის პორტთან დაკავშირებით მოვისმინე, რომ შეიძლება ტვირთბრუნვა ისეთი არ იყოს, როგორიც სჭირდება ამხელა პორტს. ფოთისა და ბათუმის პორტები სრულიად საკმარისია არსებული ტვირთბრუნვის გადაზიდვისთვის.***

– არა, ფოთსა და ბათუმს არ შეუძლიათ დიდი გემების მიღება. არადა, სულ ამ მიმართულებით ვითარდება საზღვაო გადაზიდვები. კონკურენტუნარიანი უნდა იყო, რადგან პატარა გემებით გადაზიდვა უფრო ძვირია, ვიდრე დიდი გემებით. ამიტომ ანაკლიის პორტი კეთდება დიდი გემებისათვის – ღრმა პორტი, რომელიც კონკურენტი გახდება შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ყველა დიდი პორტისა. ტვირთები როგორ არ იქნება – ჩინეთის, შუა აზიისა და აზერბაიჯანის ტვირთები ამ გზით წამოვა.

# მამუკა არეშიძე: „ამ ვიდეოს გავრცელება ხელისუფლებას არ აწყობდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ამ ეტაპზე გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ასე იყო.

***– შემდეგ რა მოხდა?***

– არ გამოუვიდათ ხელისუფლებასთან ეს ვაჭრობა. ამიტომ მე თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ კადრების ასლები არსებობდა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ეს კადრები თბილისშიც აქვს ვიღაც-ვიღაცებს. ვერავინ დამაჯერებს, რომ იმდენად პატიოსნები იყვნენ ნაციონალური მოძრაობის დროს კუდის მაღალჩინოსნები, რომლებიც ამ კადრების ორგანიზებას ახდენდნენ, რომ გადაიღეს და ასლები ჯიბეში არ ჩაიდეს.

***– გამოდის, რომ ამ კადრებს ვერასოდეს ამოიღებენ?***

– რასაკვირველია, ეს ძალიან რთულია, მაგრამ შესაძლებელია შემდეგი: ისეთი ქმედებების ჩატარება, რომ მეორედ არავის გაუჩნდეს სურვილი, ასეთი კადრები გამოაქვეყნოს. თუმცა ამის გაკეთებაც ძალიან რთული იქნება.

წლების განმავლობაში ეს კადრები იქნება ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული. ეს კადრები არა მხოლოდ პოლიტიკოსებს ეხებათ. აქ სხვებიც არიან: ჟურნალისტები, საზოგადოების გამოჩენილი ადამიანები და რა ვიცი, უამრავი ადამიანი.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ვიღაცა ყოველთვის ივაჭრებს ამით?***

– ყოველთვის ივაჭრებს! აუცილებლად ივაჭრებს! ამიტომ საჭიროა იმ ადამიანებზე გასვლა, ვინც ამას უკეთებდა თავის დროზე ორგანიზებას. მე ვგულისხმობ მაშინდელ კუდის ხელმძღვანელებს და ვინც ამის შენახვას უკეთებდა ორგანიზებას, ყველა ეს ადამიანი უნდა იყოს სახელითა და გვარით ცნობილი, ასევე უნდა იყოს ნათქვამი, რომ თუ კიდევ მომავალში რამე გამოქვეყნდება, იცოდეთ, რომ ამ ადამიანების მიერ არის ეს გაკეთებული.

***– ხომ არ ჯობდა, ხელისუფლებას თავიდანვე დაესახელებინა ეს სახელები და გვარები და რაიმე ზომები მიეღო ამის აღსაკვეთად?***

– სწორედ ეს მაქვს მთავარი სასაყვედურო ხელისუფლების მიმართ, როდესაც ვამბობდით, რომ არ მოხდეს კოჰაბიტაცია, არ მოხდეს ამ ადამიანების პორტირება ახალ ხელისუფლებაში, გაუშვით ესენი რიგებიდან, დასაჯეთ ეს ხალხი, არა, მათთან მოხდა კოჰაბიტაცია. ზოგიერთ მათგანზე მე პირადად მეუბნებოდნენ, რა ვქნათ, სიტუაციას ფლობს ამა თუ იმ რეგიონში და უნდა გამოვიყენოთ ეს ხალხიო.

**„ეს კადრები იქნება ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული. ეს კადრები არა მხოლოდ პოლიტიკოსებს ეხებათ. აქ სხვებიც არიან: ჟურნალისტები, საზოგადოების გამოჩენილი ადამიანები“**

***– მაგალითად, ვისზე?***

– თუნდაც ერთ გვარს დაგისახელებთ, მაგალითად, ლილუაშვილი. არ შეიძლებოდა ამის გაკეთება, ახლა მივიღეთ ეს შედეგი. დღეს საზოგადოება იძულებულია, შეშფოთებული იყოს ამ ფაქტის გამო, რომელიც ორი დღის წინ მოხდა და მთელი ყურადღება გადატანილი იყოს ამაზე, როდესაც უამრავი სერიოზული პრობლემა დგას ქვეყნის წინაშე.

***– რამდენად აქტიურად ვაჭრობდა წინა ხელისუფლება ახალთან ამ კადრებით და რამდენად გამოსდიოდათ ეს?***

– მე ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით. 1 ოქტომბერს დამთავრდა არჩევნები, 3 თუ 4 ოქტომბერი იყო, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, კუდის მაღალჩინოსანი როგორ იდგა მეორე სართულზე, „ქართული ოცნების“ ოფისში, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კართან და იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი დიდი პაკეტი, რომელშიც, არ გამოვრიცხავ, რომ სავაჭრო მასალა ჰქონდა. ის უკვე მოსული იყო იმისთვის, რომ ვაჭრობა დაეწყო.

***– დღესაც უშიშროებაშია?***

– დღეს აღარ არის უშიშროების რიგებში, მაგრამ სულ ფიგურირებს მაშინ, როდესაც ვიღაცას დასჭირდება ამა თუ იმ რეგიონში რაღაც პრობლემის მოგვარება.

ამ ადამიანებს ჰყავდათ არა მხოლოდ აგენტურა რეგიონებში, არამედ დაშანტაჟებული ადამიანები, რომლებსაც თავიანთ ნებაზე ატრიალებდნენ და დღესაც ატრიალებენ. ვინ რამდენი ხანი ვაჭრობდა, არ ვიცი, მაგრამ, რაც ჩემი თვალით მაქვს ნანახი, იმას გეუბნებით.

ასევე იმ ორი ქალაქიდან შემოთვლილი ინფორმაციის თაობაზეც გითხარით. დათა ახალაიაც რომ კაცს აგზავნიდა თბილისში ამ თემაზე, ესეც ვიცი. თუმცა ეს ყველაფერი მაინც ირიბი ინფორმაციაა, რადგან ამასთან შეხება არ მქონია. რაც ჩემი თვალით ვნახე, ის გითხარით.

***– წინა ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირ ხელს ადებენ ბიძინა ივანიშვილს.***

– ეს ღიად განაცხადა ნიკა გვარამიამ. მას ქართველი ხალხი დებილების ხროვა ჰგონია! მას რა მორალური უფლება აქვს, რომ ამ თემებზე ილაპარაკოს. თვითონ ყველაზე კარგად იცის, როგორ იწერებოდა და იქმნებოდა ეს კადრები. რა ალაპარაკებს?! მაგრამ მიზანმიმართულად არის ეს განცხადება გაკეთებული.

ირაკლი ალასანია კი გამოდის და ამბობს, რომ ეს ყველაფერი პრემიერისა და უშიშროების მინისტრის მიღმა მოხდა. ირაკლი ალასანიას უფრო მეტად ვცემ პატივს და კითხვას ვუსვამ – კი მაგრამ, რაში უნდა აწყობდეს ამის გაკეთება? ამას შედეგი რა აქვს? მესმის, რომ ეს ალასანიაზე ყოფილიყო გაკეთებული. ის მძიმეწონიანი ოპოზიციონერი ფიგურაა.

ახლა თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ კადრების დემონსტრირებით ირაკლი ალასანიას რაღაც ჩრდილი მიადგება, ცდება. უნდა იცნობდე საკუთარი ხალხის ფსიქოლოგიას, რომ იცოდე, რა შედეგი მოჰყვება ამას.

# შოთა მალაშხია: „ამ ხელისუფლების სისტემა ლპება“

მარიამ მჭედლიშვილი





## „თსუ-ში ხდება ზუსტად ის, რაც სხვა სფეროებში“

## „ხელისუფლება უდანაშაულო ადამიანების ტერორისტებში გაცვლას გამარჯვებად გვისახავს“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთ-ერთი მოთხოვნა უმაღლესი სასწავლებლის უშიშროების ოფიცრების ანუ ე.წ. ოდეერებისაგან გათავისუფლებაა. პარლამენტის უმცირესობის წევრი, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სტუდენტურ გამოსვლებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს უკავშირებს.

**შოთა მალაშხია:**

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს განყენებულად ვერ განვიხილავ. იქ ხდება იგივე, რაც სხვა სფეროებში – ყველაფერი მოშლილია და ყველაფრის გაკონტროლების მცდელობაა. „ქართული ოცნების“ ლიდერებს სურვილი აქვთ, რომ ყველაფერი სუსმა აკონტროლოს. სტუდენტები ამას ხედავენ და პროტესტს გამოხატავენ. ყველაფრის გაკონტროლება და ბინძური მეთოდების გამოყენება ამ ხელისუფლების სტილია.

***– ბინძური მეთოდების გამოყენებაში რა იგულისხმება?***

– პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომლებიც 11 მარტს გავრცელდა. ეს ამაზრზენი იყო. შეიძლება ვილაცამ თქვას, რომ ამ კადრების გამავრცელებლები დასადგენია, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა უძღოდა ამას? 2012 წელს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა საშინელი კადრების გავრცელების ფონზე. ამ ხელისუფლებამ ვლადიმერ ბედუკაძე გმირად აქცია. თუ ბედუკაძე იმ საშინელებებში მონაწილეობდა, რაც მაშინ ხდებოდა, ხომ უნდა დაესაჯათ? ამის მაგივრად ბედუკაძეს ქება-დიდება არ დააკლეს.

კარგად გვახსოვს, როგორ ემუქრებოდა შს მინისტრის მოადგილე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით ფარესიშვილს. ეს მაღალჩინოსანი გაათავისუფლეს, მაგრამ მისთვის პასუხი არ მოუთხოვიათ. ამგვარი მუქარები იყო რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართაც. იყო სხვა მუქარებიც. ამ ხელისუფლებამ შექმნა ასეთი სისტემა, რომელიც ლპება.

***– აღნიშნეთ, რომ ყველა სფეროში ყველაფერი მოშლილია. რა გაქვთ მხედველობაში?***

– ფაქტობრივად, სახელმწიფო ინსტიტუტები არ მუშაობს. უსაფრთხოების სამსახურითა და ჯანდაცვით დაწყებული, ეკონომიკის სამინისტროთი დამთავრებული, ყველგან „ქართუს“ წარმომადგენლები არიან მივლენილი. ისინი ემსახურებიან ბიძინა ივანიშვილს და არა – სახელმწიფოს. ეს სტრუქტურები სწორად და გამართულად მუშაობენ მაშინ, როცა ეს ბიძინა ივანიშვილს სჭირდება.

მაგალითად, ქალაქის მმართველობა და თვითმმართველობა სამაგალითოდ საქმიანობენ, როცა საქმე ეხება ისეთ პროექტს, როგორიცაა „პანორამა თბილისი“. სხვა დროს ისინი ვერ მუშაობენ. ზედა დონეზე ყველა ემსახურება პირადად ივანიშვილს, ქვედა დონეებზე ემსახურებიან მის ნათესავ-მეგობრებს ანუ მათ, ვინც დასაქმებულია. ამ ერთიან სისტემაში ყვავის კორუფცია. ასეთი მარაზმი ქვეყანაში ჯერ არ ყოფილა. აფხაზურ და ოსურ მხარეებთან ტყვეების გაცვლის გამარჯვებად გამოცხადებაც მარაზმატიკული გამოვლინებაა.

***– გორის ტერაქტის შემსრულებლების გადაცემამ პროტესტი გამოიწვია. ეს გაქვთ მხედველობაში?***

– ყველაზე უარესი ისაა, რომ უდანაშაულო ადამიანები გაცვალეს ტერორისტებში. იმათ მხარეს ტყვეებში ის ქართველები იყვნენ, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ. ეს ადამიანები თავისუფლად გადაადგილებისათვის დააკავეს. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჩვენი ტერიტორიებია. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მიმოსვლისათვის დასაჯეს. ამ ხალხში გაცვალეს ტერორისტული აქტის მონაწილეები. თუმცა, ამ ხელისუფლებას მსგავსი ადრეც გაუკეთებია – გრუ-ს თანამშრომლები შეწყალებითა და პოლიტპატიმართა სიებით გამოუშვეს. ესაა ამ ხელისუფლების ზნეობა და „აღდგენილი ქართველობა“.

***– ამ თემებზე აპელირებით კონსტიტუციაში იგეგმება ჩანაწერის შეტანა იმის თაობაზე, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა, თუ პარლამენტში ხმების მოგროვება მოხერხდა.***

– ჩემი პარტიის დასახელებიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქორწინება არის ქალისა და კაცის ერთობა. ეს სადავო არ არის. საქმე ისაა, რომ პარლამენტის უმრავლესობას ეს საარჩევნოდ სჭირდება. ალბათ, ფიქრობენ, რომ ამით გააბრუებენ იმედდაკარგულ ხალხს. თუმცა, მოსახლეობა ადვილად ველარ მოტყუვდება. ხალხს ველარც ენერგეტიკის მინისტრი მოატყუებს.

***– კალაძემ პარლამენტში დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა.***

– მისი პასუხები არადამაჯერებელი იყო. კახი კალაძემ ვერ აგვიხსნა, რატომ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს გაზპრომთან. ადრე მან ამის მიზეზად ხან დივერსიფიკაცია დაასახელა, ხან აზერბაიჯანული გაზის არასაკმარისი მარაგები, ხან – სატრანზიტო გაზის საფასურის გადახდის ახალი პირობები. ახლა ხომ გაირკვა, რომ არცერთი ეს მიზეზი არაფერ შუაში ყოფილა. ენერგეტიკის მინისტრი ვერ განმარტავს, საკუთარი უგუნურობით ელაპარაკებოდა გაზპრომს თუ იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილია ამ კომპანიის მეწილე.

***– ბოლო ინტერვიუში თქვით, რომ კოალიციიდან მრეწველებსაც გაუშვებენ და რესპუბლიკელებსაც. დღეს რა შეიძლება ითქვას „ქართული ოცნების“ კოალიციაზე?***

– როცა ეს ვთქვი, მაშინ კოალიციის დაშლის ნიშნები აშკარა არ იყო. ახლა შეიძლება ითქვას, რომ კოალიცია დაშლილია. გაერთიანება „ქართული ოცნება“ დამთავრდა – „ოცნებას“ რეიტინგის პრობლემაც აქვს. ბაზრით დაწყებული, უმაღლესი სასწავლებლებით დამთავრებული, მის მომხრეს ვერ შეხვდები. კიდევ ერთი პრობლემა საარჩევნო სია იქნება. ძალიან ძნელია პიროვნებების დათანხმება იმაზე, რომ სიაში ჩაეწერონ.

***– პარტია „ქართულ ოცნებას“ გულისხმობთ?***

– დიახ. სხვებს, მაშ შორის, რესპუბლიკელებს, საარჩევნო ბარიერის გადალახვის თეორიული შანსიც არ გააჩნიათ. „ოცნებამ“ ვერ შეასრულა დაპირებები. მან ვერც სამართლიანობა აღადგინა, ვერც რუსეთთან ურთიერთობა დაამყარა და ვერც დემოკრატიული ინსტიტუტები ააშენა. აღარაფერს ვამბობ სოციალურ შეპირებებზე. ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რამდენით დავიხიეთ უკან და როგორ გამოვასწოროთ ვითარება.

# რამაზ საყვარელიძე: „კოალიციის ფორმატი არ შეიცვლება“

ნათია ხურცილავა

## „მსგავსი „გასროლა“ ვერცერთ პოლიტიკურ გუნდს შედეგს ვერ მოუტანს“



პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პოლიტიკური პარტიები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ცალ-ცალკე უნდა წარდგნენ, რათა სურათი ამომრჩეველმა დაალაგოს და არა რომელიმე ერთმა პარტიამ ან რომელიმე პიროვნების რესურსმა.

***– ბატონო რამაზ, გასული კვირის ბოლოს პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა. რამდენად იქონიებს ეს ფაქტი და მსგავსი ქმედებები საარჩევნო პროცესზე გავლენას?***

– ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რაც მოხდა, ეს არჩევნებთან დაკავშირებული პროცესია, მაგრამ მე ეჭვი მეპარება და არ ვეთანხმები ამაში ჩემს კოლეგებს. ვინც ეს კადრები გაავრცელა, მათ უნდა იცოდნენ, რომ არჩევნებამდე 8-9 თვით ადრე ეს ვერ იმუშავებს და ელექტორატის განწყობებს ვერ შეცვლის. მსგავსი „გასროლა“ ვერცერთ პოლიტიკურ გუნდს შედეგს ვერ მოუტანს.

აქვე გავიხსენებ 2012 წლის არჩევნების წინ გამოქვეყნებულ ციხის კადრებს, რომელმაც რეალურად იმუშავა, გამოიწვია ემოციური ტალღა ადამიანში, შემდეგ უკვე ეს გადაედო საზოგადოებას და ამან თავისი შედეგი დადო. პარასკევს გავრცელებულმა კადრებმა შეიძლება ემოციური ტალღა გააჩინოს და გააჩინა კიდეც, მაგრამ არც ისე დიდი დრო გავა და ის ჩაქრება. 2-3 თვე ემოცია ვერ ძლებს. ის აინთება და ქრება. ასეთია მისი ბუნება.

***– კოალიციაში მიმდინარე პროცესებზე რომ ვისაუბროთ, უნდა დაიშალოს თუ არა კოალიცია?***

– დღეს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში აღარ არის დიდი, მონსტრი კოალიციებისა და პოლიტიკური გაერთიანებების საჭიროება. ეს ეტაპი, მადლობა ღმერთს, გავიარეთ. ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ დღეს კოალიციაში არის გარკვეული დაძაბულობა თუ გაურკვევლობა, ამას ვამბობ ანალიზიდან გამომდინარე. ახლა დროა, ქართული პოლიტიკა სხვა მიმართულებით წავიდეს და განვითარდეს. ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ კოალიცია დარჩეს ამ სახით.

***– ასე არ ფიქრობენ კოალიციაში შემავალი სუბიექტები.***

– ეს სხვა საკითხია. მე ვსაუბრობ არა იმაზე, ვის არ აწყობს და ვინ უკეთესად იქნება, არამედ იმაზე, რა უფრო უკეთესია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. პოლიტიკურ ცხოვრებას უფრო ნორმალური იერი მიეცემა, თუ პარტიები თავიანთი რესურსით წარდგებიან ამომრჩევლის წინაშე.

***– მაშინ ინსინუაციებიც აღარ იქნება, ვის რამდენი პროცენტი უჭერს მხარეს?***

– ცხადია, ეს საკითხი მოიხსნება. ახლა დროა, პოლიტიკურმა რეიტინგებმა დაალაგოს სურათი ანუ ამომრჩეველმა და არა – ერთმა რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ ან რომელიმე პიროვნების რესურსმა.

რესპუბლიკელებმა რთული ამოცანა წამოაყენეს წინასაარჩევნოდ, რაც ორ პარტიას შორის შეთანხმებას გულისხმობს და რაც ბევრმა ვერ გაიგო. მეეჭვება, რომ უსუფაშვილის განმარტება საკმარისი იყოს. სიტუაცია შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს.

***– რა შემთხვევაში?***

– თუკი რესპუბლიკელები მოისურვებენ მეტ გარანტიებსა და ხელშეკრულებების გაფორმებას, მაშინ ანალოგიური ხელშეკრულებები თუ შეთანხმებები უნდა გაფორმდეს დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებთანაც. ეს კი ისეთი შრომატევადი საქმეა, რომ გვერდზე გადაიდება წინასაარჩევნო მზადება, წინასაარჩევნო სტრატეგიის განსაზღვრა და ა.შ. ამიტომ ვფიქრობ, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროს კოალიცია „ქართული ოცნება“ მიიყვანს იმ ფორმატით, რითაც დღეს არის წარმოდგენილი ანუ შეინარჩუნებს არსებულ მდგომარეობას.

# საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს

ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1250-ე სხდომაზე, რომელიც 8-10 მარტს გაიმართა, ადამიანის უფლებათა საკითხებზე იმსჯელეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სხდომის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენის აღსრულება, საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაჩენი 2014 წელს საქართველოს სასარგებლოდ გამოიტანა.

საქმე ეხება 2006 წლის სექტემბრის ბოლოდან 2007 წლის დასაწყისამდე რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დაკავებასა და დეპორტირებას.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენის აღსრულების შესახებ – საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია და ანალიზი იმისა, თუ როგორ გამორიცხავს მათ მიერ გატარებული ღონისძიებები მსგავსი ადმინისტრაციული პრაქტიკის, კერძოდ, დეპორტაციის გამეორებას მომავალში. აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე ავალდებულებს რუსეთის მხარეს, წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ მომავალში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, რაც გულისხმობს სასამართლოსთან თანამშრომლობას, მათ შორის სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რა ნაღმები დატოვა სააკაშვილის ხელისუფლებამ და რით იმუქრება მეგის ქარდავა?

## კვირიკაშვილი: „ეს არის დარტყმა სახელმწიფოზე და ჩვენი პასუხი ამ დარტყმაზე იქნება უმკაცრესი“



რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე უამრავი მითქმა-მოთქმა ატყდა – ვის აწყობდა, ვინ გაავრცელა, არის თუ არა გამოძიებისა და დასჯის მექანიზმები.

პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, ერთხმად თანხმდებიან ხელისუფლება, ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი, მაგრამ ფაქტი ერთია, დემოკრატიულობით თავმომწონე სააკაშვილის ხელისუფლებამ უამრავი ფარული ნაღმი დატოვა საზოგადოების მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

ვინ იღებდა და ინახავდა სამომავლო შანტაჟისთვის პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს? ამ კითხვაზე სავარაუდო პასუხი ყველამ იცის, მტკიცებულებები კი თითქოს არ არსებობს.

ივანიშვილის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, მეგის ქარდავა, კადრების გამოქვეყნებით იმუქრებოდა.

**მეგის ქარდავას კარიერული „აღმავლობა“ კი ასე გამოიყურება:**

2010 წელს მეგის ქარდავა სააკაშვილმა ვახტანგ გორგასლის ორდენით დააჯილდოვა „კონსტიტუციური წყობილების დაცვისათვის“, 2012 წელს კი „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის“ გადასცა ღირსების ორდენი.

**მეგის ქარდავას სახელმწიფო ჯილდოები:**

1. 2010 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის №1168 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით (აღნიშნულ დროს მეგის ქარდავა მუშაობდა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე-დეტექტივების სამმართველოს უფროსად).

2. 2012 წლის 19 მაისს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის №19/01/05 განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (აღნიშნულ დროს მეგის ქარდავა მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსად).

ვერაფერს იტყვით, სააკაშვილმა შრომა დაუფასა, გასაკვირი არცაა – მისი პრეზიდენტობის პერიოდში ხომ ღირსების ორდენმა ფაქტობრივად ღირებულება დაკარგა, რადგან ღირსეულთა შორის ჯილდოვდებოდნენ ხელისუფლების „ღირსეული“ დამსჯელებიც.

◆ ◆ ◆

ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების საქმეში არსებობს რამდენიმე მხარე – ხელისუფლება, ჩამწერებ-გადამღებები, გამავრცელებელი და დაზარალებული, ვის წევრებზეც ვრცელდება კადრები.

ეს ამბავი რომ ხელისუფლების წისქვილზე არ ასხამს წყალს, ყველა თანხმდება, მით უფრო საარჩევნო წელს. ისიც უდავოა, რომ მსგავსი კადრების გავრცელებით არცერთი პარტია თავს არ დაიზარალებს. მარტივი ლოგიკური მსჯელობით, ამის გაკეთება შეეძლო ჩამწერსა და გამავრცელებელს.

განვლილი დღეების ამბებს თუ თვალს გადავავლებთ, აღშფოთებულ და განერვიულებულ ნაციონალს ვერსად იპოვით. ჩუმად ქირქილიც კი იქითკენ მიდის, რომ მეგის ქარდავა მათი უშიშარი გმირია.

კადრების გავრცელებისთანავე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს საქმის გამოძიება დაავალა.

მანვე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ორი თვის წინ პირობა მივეცი ჩვენს მოქალაქეებს, რომ ჩემი ყველა ნაბიჯი, ყველა განცხადება, ყველა საქმე მოემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას და, პირველ რიგში, ადამიანს.

თითოეული ადამიანის დაცვა სახელმწიფოს ღირსების საქმეა. ის, რაც მოხდა, არის არა ერთი ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების დაშანტაჟებისა და დათრგუნვის მცდელობა. ეს არის დარტყმა სახელმწიფოზე და ჩვენი პასუხი ამ დარტყმაზე იქნება უმკაცრესი! ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ მსგავსი დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ აღარასოდეს მოხდეს.

ვისი გადაღებული და გავრცელებულიც არ უნდა იყოს ეს ჩანაწერი, გეუბნებით, პირობას გაძლევთ, უმკაცრესად აგებთ პასუხს კანონის წინაშე.

ეს იქნება სამაგალითო პასუხი, რომ მსგავსი სიბინძურე თავში აღარავის მოუვიდეს! სამაგალითოდ დაისჯება ყველა, ვინც საკუთარი ამაზრზენი მოქმედებებით საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

◆ ◆ ◆

მმართველი გუნდი პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების წარმოებისა და გავრცელების წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრებასა და მოსმენების კანონში ცვლილებების შეტანაზე მსჯელობას გეგმავს.

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა.

**ირაკლი სესიაშვილი:**

– ზოგადად ჩვენი ე.წ. ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მგონია, რომ ბოლომდე ვერ არიან ჩამოყალიბებულები, რა პოზიციები უნდა დაიცვან, იმიტომ, რომ როგორც კი სიტუაცია გამწვავდება, გამკაცრებას ითხოვენ, როგორც კი უსაფრთხოებიდან გამომდინარე ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ მკაცრი უნდა იყოს სასჯელი, მაშინ ზელიბერალურ მიდგომებს გვთხოვენ.

ასე არ გამოვა.

თუ ჩვენ ზელიბერალური მიდგომებით ვივლით, მერწმუნეთ, რომ მაშინ ქვეყანაში უშიშროების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა დღის წესრიგიდან უნდა მოვხსნათ.





ამონაწერი

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 1168 2010 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ**

ქვეყნის უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის დაჯილდოვდნენ:

**ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით:**

| | | |
|---|---|---|
| **მეგის ქარდავა** | - | პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე - დეტექტივების სამმართველოს უფროსი |

№1 მიხეილ სააკაშვილი

თან ითხოვდე, რომ ზელიბერალური იყო და თან ითხოვდე, რომ ორ წამში იყოს გამოძიებული საქმე, ასე არ გამოვა. მაგრამ მე მეჩვენება, რომ ზოგიერთებს ერთიც აწყობს და მეორეც, ხოლო ვინც ქვეყანას მართავს, პასუხისმგებლობა იმაზეა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ისეთ ნაბიჯს გადავდგამთ, რომელიც მეტ-ნაკლებად საერთო ინტერესებს მოემსახურება.

საღად ვინც აზროვნებს, კარგად ხვდება, რომ თუ ვინმეს დღეს ასეთი მარაზმი არ აწყობს და აზიანებს, ეს არის ხელისუფლება. მიმაჩნია, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესის ნაწილი და მიზანმიმართულია ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში თავისუფალი დემოკრატები ამოიღეს სამიზნედ და მე დღეს თავისუფალი დემოკრატი ვარ, იმიტომ, რომ მეც ისევე დავზიანდი, როგორც თითოეული მათგანი და ვისაც ჰგონია, რომ ხელისუფლებაა ამაში ჩარეული, ეს არის წმინდა პოლიტიკური სიბეცე.

სესიაშვილმა კატეგორიულად გამორიცხა კადრების ახალი ხელისუფლების პირობებში ჩაწერა.

– ეს ჩანაწერები ვერ იქნება ჩვენი ხელისუფლების პირობებში გაკეთებული, ეს ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, – განაცხადა მან.

სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეგის ქარდავა სხვა ჩანაწერების გამოქვეყნებითაც იმუქრება. ასევე არ წყდება საუბარი, რომ ეს ჩანაწერები რაღაც წრეს ნანახი ჰქონდა მანამდეც, სანამ ოცნება ხელისუფლებაში მოვიდოდა.

ცოტა ძნელია იმის წარმოდგენა, რომ იმ პარტიას, ვისი „წარჩინებული“ სახეც მეგის ქარდავაა, არ ესმოდეს, რომ ასე შორს ვერ წავლენ. როგორც ამბობენ ხოლმე, დასავლეთი ყველას და ყველაფერს ხედავს, უბრალოდ, უფრო ტოლერანტულია და ლტოლვილად ჩასულ კაცს უკან არ აბუნძულებს.

დაბოლოს, სირცხვილია, ბატონებო, სხვისი პირადი ცხოვრების კადრებით დატკბეთ და გაიხაროთ. გაიხედ-გამოიხედეთ, სანახავი სხვაც ბევრია.

---

# პატრიარქმა მრევლს შენდობა სთხოვა

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა შენდობის წესი შეასრულა და შენდობის დღესთან დაკავშირებით მრევლს ცოდვათა შენდობისკენ მოუწოდა.

– მაცხოვარი ამბობს, თუ შეუნდობ მოყვასს, უფალი მამაზეციერი შეგინდობს და ამ კურთხეულ დღეს მე ცოდვილი მონა გთხოვთ, ძმანო და დანო, ჩემო სულიერო შვილებო, შემინდეთ ცოდვები ჩემი, – ბრძანა პატრიარქმა.

როგორც უწმინდესმა ქადაგებისას აღნიშნა, დღეს უნდა დავძლიოთ ამპარტავნობა და სხვას თუ არ შეუძლია მოსვლა და პატიების თხოვნა, ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალა და ვთხოვოთ პატიება ჩვენს მოყვასს.

– შევთხოვოთ უფალს, რომ მან მოგვცეს ძალა ბოროტებასთან გასამკლავებლად. ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი უფრო მკაცრი და ბოროტი გახდა. ბოროტება თითქოს მოიცავს ჩვენს ცხოვრებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღვთის მადლი აღემატება ცოდვას და ღმერთი მოწყალეა, – ბრძანა პატრიარქმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შენდობის წესზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შენდობის წესი პირველი საუკუნეებიდან მოდის, როდესაც ეგვიპტეში უდაბნოში მამები და განდეგილი ბერები იკრიბებოდნენ ერთად, შესთხოვდნენ შენდობას ერთმანეთს და გალობდნენ.

ქადაგების შემდეგ ილია II-მ მრევლი დალოცა და სავედრებელი ლოცვა წაიკითხა.

**ინტერპრესნიუსი**

---

# პარლამენტი სპეცუბნების ფორმირებასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვას იწყებს

პარლამენტი სპეციალური საარჩევნო უბნების ფორმირებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის განხილვას იწყებს. ამ მიმართულებით „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებს ხვალ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი განიხილავს. კანონპროექტის ავტორია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი და თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ინიციატორი – მთავრობა.

კანონპროექტის მიხედვით, იკრძალება სპეციალური უბნების შექმნა თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების, ასევე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ქვედანაყოფების ტერიტორიაზე.

კონკრეტდება იმ გამონაკლისების ჩამონათვალი, სადაც 50-ზე მეტი ამომრჩევლის შემთხვევაში, სპეცუბნების შექმნის შესაძლებლობა რჩება. ეს გამონაკლისებია: სამხედრო მოსამსახურეების დისლოკაციის ადგილი საზღვარგარეთ, პენიტენციარული დაწესებულებები (პატიმრებისა და მსჯავრდებულებისთვის), საავადმყოფოები და სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებები, სათნოების სახლები, მიუსაფართა თავშესაფრები, შშმპ პანსიონატები და სხვა სოციალური მიზნის დაწესებულებები.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს არ აღემატება, ისინი უახლოეს საარჩევნო უბანს მიემაგრება.



თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და სპეციალური წოდების მქონე პირები, აგრეთვე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის, პენიტენციარული დეპარტამენტისა და პენიტენციარული დაწესებულების მოსამსახურეები არჩევნებში მონაწილეობას მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიიღებენ.

პროექტის მიხედვით, ზემოაღნიშნული პირებს სპეციალურ სიაში შეიყვანენ და ხმას შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრულ უბანზე მისცემენ, თუ მათი სამსახურის პირობები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისგან განსხვავებულ მისამართზე, ხოლო იმ პირებს, რომელთაც სამსახურებრივი პირობების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დისლოკაციის ადგილის/სამსახურის დატოვება, შესაძლებლობა მიეცემათ, ხმა გადასატანი ყუთის მეშვეობით მისცენ.

პარლამენტის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში შესაბამის საარჩევნო ოლქში მონაწილეობას მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურე მიიღებს, რომელიც არჩევნების დღისათვის მუდმივი წესით, ერთი წლით ან ერთ წელზე მეტი ვადით განთავსებულია დისლოკაციის ადგილზე ან თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთისა და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

შუალედურ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნება მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომლებმაც შესაბამის ბოლო მორიგ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა იმავე სპეცსიით.

სპეციალურ სიებში შეყვანილ პირთა არჩევნებში მონაწილეობის პროცესის დამატებით გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და მათი საარჩევნო უფლების დაცვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებულნი იქნებიან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრონ იმ მოსამსახურეების სამსახურებრივი პირობების ჩამონათვალი, რომლებიც არჩევნების დღეს მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, მათი სიის შედგენისა და საოლქო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემის, ასევე მათთვის არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის წესი და პირობები.

კანონპროექტს 14 მარტს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძე და იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე წარადგენენ.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მასწავლებელთა 83%-მა?

## კახმეგ კუდავა: „კონკურენციის მოსპობა პირდაპირ აისახება მასწავლებელთა განათლებაზე“

ლალი დავითური

მიმდინარე წლის იანვარში ჩატარებულმა პედაგოგთა საგნობრივმა გამოცდამ არცთუ ისე სახარბიელო შედეგები გამოავლინა.

ტესტირებაში მონაწილე 6.477 მასწავლებლიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც 60%-ით განისაზღვრებოდა, მასწავლებელთა 83%-მა ვერ გადალახა.

რამ განაპირობა ასეთი დაბალი შედეგის მიღება, რატომ ვერ გადალახა მასწავლებელთა უმრავლესობამ ტესტირების ზღვარი, სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ გამომცემლობა „ინტელექტის“ დამფუძნებელი კახმეგ კუდავა ესაუბრა.

**კახმეგ კუდავა:**

– მასწავლებელი, რომელსაც მინიმალური ხელფასი აქვს, ვერ ახერხებს მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნების, დამხმარე მეთოდური და სხვა აუცილებელი ლიტერატურის შეძენას. სამინისტრომ უფასოდ მისცა წიგნები დეპუტატების, ბიზნესმენების შვილებს, მაგრამ ქალბატონ მინისტრს დაავიწყდა მასწავლებელი. რა უნდა ქნას მასწავლებელმა, რამდენი სახელმძღვანელო იყიდოს და რამდენი მასწავლებლის წიგნი?

***– ახლა რა ხდება, მასწავლებლის წიგნი აღარ ურიგდებათ მასწავლებლებს და, თქვენი აზრით, ამან განაპირობა ეს სავალალო შედეგები?***

– ადრე, როდესაც ავტორები და გამომცემლები განვკარგავდით ჩვენს საკუთრებას, მასწავლებლის წიგნს მასწავლებელს უფასოდ ვურიგებდით. ამას გარდა, იყო მუდმივი კავშირი, შეხვედრები მასწავლებელსა და სახელმძღვანელოების ავტორებს შორის, ყველა საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხზე მიდიოდა აქტიური კონსულტაციები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა. ეს ხელს უწყობდა მასწავლებლის განვითარებას.

ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ყველა გამომცემელი ცდილობდა თავისი სახელმძღვანელოს პოპულარიზაციას, ამიტომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში თითქმის ყველა რეგიონში ჩავდიოდით, სადაც პრაქტიკულად უფასო ტრენინგებს ატარებდნენ ჩვენი ავტორები. ადგილობრივ მასწავლებლებს უფასოდ ვურიგებდით როგორც სახელმძღვანელოებს, ასევე მასწავლებლის წიგნს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იქონია თუ არა კომუნიკაციის გაწყვეტამ გავლენა ამ სავალალო შედეგებზე? – რა თქმა უნდა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საგნობრივი ტესტები ყველა ალტერნატიული სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი და იმისთვის, რომ მასწავლებელმა გამოცდა წარმატებით ჩააბაროს, ყველა ალტერნატიული წიგნი უნდა შეიძინოს (როგორ მოახერხებს ამდენი სახელმძღვანელოს შეძენას დაბალხელფასიანი მასწავლებელი?), შეისწავლოს და მუდმივ კონტაქტში იყოს ავტორთან, მეთოდისტთან.



კახმეგ კუდავა

***– განათლების სამინისტრო მუდმივად აწყობს ტრენინგებს, სადაც მასწავლებლები ეცნობიან სიახლეებს.***

– განათლების სამინისტრო ატარებს ორდღიან ტრენინგებს, რომლებზეც იხარჯება მილიონები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ტრენინგები არაეფექტიანია.

ადრე ამ ტრენინგებს გამომცემლობები ატარებდნენ უფასოდ, ახლა კი სახეზეა შეწყვეტილი კონკურენციის პირობებში ავტორთა სამწლიანი იძულებითი უმოქმედობა. ჩაშლილია საქმიანი ურთიერთობები ავტორსა და მასწავლებელს შორის, რაშიც მინისტრი და მის მიერ შექმნილი სისტემაა დამნაშავე.

***– მასწავლებელსა და ავტორს შორის ურთიერთობა შეწყდა?***

– დიახ, შეწყდა ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა მასწავლებელსა და ავტორებს შორის, და კიდევ უარესი, შეჩერდა მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნების გაუმჯობესებაზე მუშაობა, არადა, ყველაზე უკეთესად ავტორებს შეუძლიათ ჩაანაცვლონ მოდადქცეული ძვირადღირებული ტრენინგები.

პედაგოგებმა, რომლებმაც თავის დროზე სახელმძღვანელოების სწორი არჩევანი ვერ გააკეთეს, დაკარგეს შესაძლებლობა, შეცვალონ მათთვის უფრო მისაღები და ეფექტური სახელმძღვანელოებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე.

საგანმანათლებლო პროცესიდან სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლებისა და ავტორების გამოთიშვამ გამოიწვია ის, რომ შეჩერდა სახელმძღვანელოების ხარისხის დახვეწის პროცესი და პედაგოგების განვითარება შეფერხდა. ეს ყველაფერი კი განათლების სამინისტროს უგუნურმა, გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მთელმა ჯაჭვმა გამოიწვია.

***– ცოტა გაზვიადებული ხომ არ არის თქვენი შეფასებები?***

– ახლა ხელში მიჭირავს თამაზ ჭილაძის ახალი წიგნი. აი, რას წერს დიდი მწერალი: „ასეთი ვითარების გამო, შეიძლება სულ მალე გაჩნდეს წარმოდგენა წიგნზე, როგორც უმნიშვნელო, უფასო, დროებით მოსახმარ ნივთზე და, როგორც მცოცავმა საფრთხემ, შეიძლება წიგნიდან საერთოდ განათლებაზე გადაინაცვლოს, მით უმეტეს დღეს, როცა სანახაობა და გართობა ასე ხარბად ყლაპავს და ითვისებს ყველაფერს, რაც სულ ახლახან კულტურას ეკუთვნოდა. შეიძლებოდა ისიც მეთქვა, რომ ის მხატვრული ლიტერატურა, რომლის გამოცემაც დღეს ჩვენს გალატაკებულ გამომცემლობებს უჭირთ, მოზარდებისთვის მომავალში ისევე აუცილებელი გახდებოდა, როგორც დღეს სახელმძღვანელოები“.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

* * *

ყველაზე სავალალო შედეგი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს აქვთ, გამოცდაზე გასული პედაგოგებიდან კომპეტენციის ზღვარი მხოლოდ 8%-მა გადალახა. ამ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა დაწყებითი საფეხურის სერტიფიცირებულ მასწავლებელ მარი ქ-ს:

***– ქალბატონო მარი, რამ გამოიწვია ასეთი დაბალი შედეგი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებში?***

– ასეთი სავალალო შედეგი იმის ბრალია, რომ თავის დროზე ყველაზე ადვილად, ფულითა და ნაცნობობით სწორედ ამ პროფესიაზე ირიცხებოდნენ, შემდეგ კი ვერ მოხერხდა მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

***– მასწავლებელთა ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ საგნობრივ გამოცდაზე მასწავლებელთა ასეთი შედეგის მიღების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ მასწავლებელს ბევრ რამეს ავალებენ და ძირითადი საგნისთვის დრო აღარ რჩებათ.***

– რა თქმა უნდა, ესეც მოქმედებს, ესეც არის მიზეზი, მასწავლებლები გადასული არიან ქულების დაგროვებაზე. პროფესიული შეფასების სქემის შემოღების შემდეგ დაგვიწესეს ქულები. უფრო მაღალ საფეხურზე რომ ახვიდე, უნდა დააგროვო მეტი ქულა. მასწავლებლები მუშაობენ ამაზე და ამ დროს გვერდით გრჩება ძირითადი საქმიანობა. შეფასების ქულებიც ცალკე თემაა.

მე, პირადად, ვარ შეურაცხყოფილი, გავაკეთე ინტეგრირებული სამი გაკვეთილი ხელოვნების მასწავლებელთან ერთად. გადავაგზავნეთ ეს გაკვეთილები, თავიდან ორივემ ნული ქულა მივიღეთ. მეორე მასწავლებელმა გააპროტესტა ნულოვანი შეფასება, გადაამოწმეს და შეფასდა უმაღლესი 3 ქულით, მე არ გავაპროტესტე და ნულოვანქულიან მასწავლებლად დავრჩი.

თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ შეფასების ქულები დაუწერეს 0 ქულა, გასაჩივრების შემდეგ კი ბევრს გადაუსწორეს და 6 ქულა დაუწერეს. შეიძლება შეგეშალოს 1 ან 2 ქულა, მაგრამ 6 ქულა? ამის გამო ვინმეს მოეთხოვება პასუხი? ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ხომ იჩაგრება.

***– თქვენ რატომ არ გააპროტესტეთ?***

– არ გავაპროტესტე იმიტომ, რომ ვენდე მათ კომპეტენციას. რას ვიფიქრებდი, რომ ასეთ შეცდომებს დაუშვებდნენ. დაუშვებელია ასეთი უპასუხისმგებლობა შეფასებისას. ეს ხომ მასწავლებლის თვითშეგნებაზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს.

***– განათლების სამინისტრომ რა უნდა გააკეთოს მასწავლებლის პროფესიული ცოდნის ამაღლებისთვის?***

– ამით, პირველ რიგში, მასწავლებლები უნდა იყვნენ დაინტერესებული, თვითონ იმუშაონ საკუთარ თავზე. განათლების სამინისტრომ უნდა გააკეთოს ის, რომ შედარებით დაფასდეს მასწავლებლის პროფესია. მასწავლებელი უნდა იყოს მოტივირებული, რომ მისი შრომა დაფასდება.

არც შეფასების სქემა და არც კრედიტქულები არაფერს ნიშნავს. ეგ არ არის მასწავლებლის მუშაობის რეალური შეფასება.

***– მაშ, როგორ უნდა შეაფასოს მასწავლებლის მუშაობა განათლების სამინისტრომ, მოსწავლეთა მოსწრებით?***

– მთლად მასეც არ გამოვა. ძალიან ბევრი პრობლემაა. რესურსით მაინც უნდა იყოს მომარაგებული სკოლა, ბავშვებს ხალისით რომ მიაწოდოს ახალი მასალა, სწავლება სახალისოც რომ იყოს და საინტერესოც.

მასწავლებელი მხოლოდ კრედიტქულების დაგროვებაზე არ უნდა ფიქრობდეს, რომ გადავიდეს ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში და ამ დროს, სინამდვილეში, რისთვისაც კეთდება ეს ყველაფერი, ბავშვებისა და ეფექტური სწავლებისთვის, ამას აკლდება დრო და ენერგია. მასწავლებლები ფიქრობენ კატეგორიის ამაღლებაზე. ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას მოითხოვს, გარდა დროისა.

***– მასწავლებელი კრედიტქულების დაგროვებაზე არ უნდა ფიქრობდეს?***

– კი, როგორ არ უნდა ფიქრობდეს, მაგრამ მე, პირადად, მირჩევნია, ეს დრო გამოვიყენო იმისთვის, რომ ბავშვებისთვის გავაკეთო რაღაც, მოვიძიო თუნდაც ის რესურსი, რომ ელექტრონული რესურსი შევქმნა და საინტერესო გავხადო საგაკვეთილო პროცესი, ვიდრე ვიზრუნო იმ ქულების დაგროვებაზე.

მასწავლებელს არ უნდა ჰქონდეს შიში იმისა, ვაიმე, ქულებს ვერ დავაგროვებ და სერტიფიკატით მომატებული თანხა დამაკლდებაო. ამის შიში რეალურად აქვს მასწავლებელს და ამ მიზეზით ერთგვარ წნეხსაც განიცდის.

## კახა ცხადაძე, შესაძლოა, სლოვაკმა ვლადიმერ ვაისმა შეცვალოს

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები თითქმის ორი თვეა მწვრთნელის გარეშეა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილის გადაწყვეტილებით, კახა ცხადაძე ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებდნენ, ფედერაცია აქტიურად ეძებდა კახა ცხადაძის შემცვლელს.



ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა, მათ შორის, შოთა არველაძე, რომლისგანაც ფედერაციამ უარი მიიღო და საბოლოოდ გამოირიცხა ქართველი სპეციალისტისეროვნული ნაკრების თავკაცად დანიშვნა.

როგორც „აიპრესისთვის“ ხდება ცნობილი, ამ ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად სლოვაკი ვლადიმერ ვაისი განიხილება. ვაისი 51 წლის სლოვაკი მწვრთნელია, რომელიც სხვადასხვა წლებში მოსკოვის „სატურნს“, „კაირათსა“ და სლოვაკეთის ნაკრებს წვრთნიდა. სლოვაკეთის ნაკრებთან ერთად მან ისტორიულ შედეგს მიაღწია და მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდა, სადაც მერვედფინალამდე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ვაისის დანიშვნა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყაზახეთის ნაკრებსაც სურდა, თუმცა, როგორც უცხოურ მედიაში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, ვაისის კანდიდატურა ყაზახებმა გამორიცხეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ყაზახებს დაუპირისპირდება ჩვენი ნაკრები 29 მარტს ამხანაგურ შეხვედრაში.

ვლადიმერ ვაისმა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ცუდად ჩატარებისა და ევრო 2012-ის ჯგუფური ეტაპზე ვერ მოხვედრის გამო მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

საბოლოო სიტყვას კი ახალი მწვრთნელის შესახებ ფეხბურთის ფედერაცია დღეს, 14 მარტს, 13:00 საათზე იტყვის.

**აიპრესი**

## თსუ-ში სტუდენტთა ორი სხვადასხვა ჯგუფის აქცია გაიმართება

თსუ-ში დღეს, 14 მარტს, ერთსა და იმავე დროს სტუდენტთა ორი სხვადასხვა ჯგუფის აქცია გაიმართება.

აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტთა ჯგუფმა განცხადება „ფეისბუქზე“ გაავრცელა. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული პარალიზების საფრთხის წინაშე დგას.

– ახალგაზრდების მცირე ჯგუფი, რომელთა დიდი ნაწილი არ წარმოადგენს თსუ-ის სტუდენტებს, კვლავ განაგრძობს უნივერსიტეტის სამუშაო პროცესის ჩაშლას. მათ მიერ არათანმიმდევრული მოთხოვნების დაფიქსირება მიმდინარეობს ძალისმიერი და ცილისმწამებლური მეთოდების გამოყენებით. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის ჩატარებასა და უნივერსიტეტის სხვა ძირითადი ფუნქციების განხორციელებას. რექტორი კი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის სამართლებრივ ჩარჩოებში ფუნქციონირების გარანტს, თავისი უნიათობითა თუ მიზანმიმართული უმოქმედობით ხელს უწყობს სიტუაციის გამწვავებას.

ვლადიმერ პაპავა ვერ უზრუნველყოფს პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნასა და სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შენარჩუნებას. შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის პირველი უნივერსიტეტის სახელს. მოდი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში 14 მარტს, 12:00 საათზე. ერთად მოვითხოვოთ უნივერსიტეტის საქმიანობის დაბრუნება სამართლებრივ ჩარჩოებში! შეიტანე შენი წვლილი ინსტიტუციური კრიზისიდან უნივერსიტეტის გამოყვანაში! დაიცავი უნივერსიტეტი! – წერენ აქციის ორგანიზატორები.



მათივე მტკიცებით, ეს არ არის იმ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული აქცია, რომელიც უკვე რამდენიმე დღეს თსუ-ში აქციას მართავს და კანცლერობის კანდიდატობიდან გიორგი გაფრინდაშვილის მოხსნას ითხოვს.

– პირიქით, ჩვენი მოთხოვნები და მათი მოთხოვნები დიდწილად ერთმანეთს ემთხვევა, როგორიცაა ოდეერის საკითხი და ამდენი ხანი ამ საკითხზე რექტორის სიჩუმე, – აცხადებენ ორგანიზატორები.

აქციის მთავარი მოთხოვნებია: უნივერსიტეტის რექტორმა აიღოს პასუხისმგებლობა მიმდინარე მოვლენებზე და აღდგეს უნივერსიტეტის გამართული ფუნქციონირება; გათავისუფლდეს უნივერსიტეტი ოდეერისა და ყველა მსგავსი საბჭოური გადმონაშთისგან; უპირობოდ სცეს პატივი უნივერსიტეტის მართვის დემოკრატიულ პრინციპებს და მიეცეს უნივერსიტეტის უმაღლეს წარმომადგენლობით საბჭოს თავისუფალ რეჟიმში მუშაობის უფლება!

როგორც ცნობილია, სტუდენტების სხვა ჯგუფი, რომელიც რამდენიმე დღეა უნივერსიტეტის ფოიეში ღამეს ათენებს, ზუსტად იმავე დროს, ხვალ, 12:00 საათისთვის, უნივერსიტეტში საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. მათი მოთხოვნებია, უშიშროების თანამშრომლებმა დატოვონ საუნივერსიტეტო სივრცე, გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრივილეგიები; ასევე, უნივერსიტეტის რექტორისა და კანცლერის არჩევის პროცესში მოხდეს სტუდენტებისა და ლექტორების მაქსიმალური ჩართულობა და კანცლერის თანამდებობაზე წარდგენილმა გიორგი გაფრინდაშვილმა კანდიდატურა მოხსნას.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## განცხადებები

მკურნალობა

● სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ვლადიმერ ტაბაღუა: „ციხეში რეფორმა არ გატარებულა“

გულიკო ბალაძე

პენიტენციარულ სისტემაში არსებულ პრობლემებზე ექსპერტი და ადვოკატი **ვლადიმერ ტაბაღუა** გვესაუბრება.

***– თქვენ ამტკიცებთ, რომ ციხე თავისი დინებით მიდის. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– სასჯელაღსრულების სამინისტროში მოვიდა ერუდირებული პიროვნება. ის, სხვა წინამორბედებთან შედარებით, მოწადინებულია, ჩაატაროს რეფორმები. მან პირველი ნაბიჯები გადადგა – კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით მოხდა მსჯავრდებულთა კატეგორიებად დაყოფა, შემოიღეს დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის მსჯავრდებულთა კატეგორიები, რაც მისასალმებელია. მაღალი რისკის მსჯავრდებულები იზოლირებულები არიან. მათ აღარ ექნებათ საშუალება, ზემოქმედება მოახდინონ პატიოსან ადამიანებზე, რომლებიც უკვე გამოსწორების გზაზე არიან დამდგარი.

***– სააკაშვილის დროს რომ იყვნენ ციხეში პატიოსანი ადამიანები, ვიცი, მაგრამ ახლაც არიან?***

– ციხეში პატიოსანი ადამიანები ხვდებიან. შეიძლება პატიოსანმა ადამიანმა საბედისწერო შეცდომა დაუშვას, ზოგ შემთხვევაში, ფიქრობდა, რომ შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული და ჩამოყალიბებული კრიმინალი არ იყოს. რეფორმა რეფორმისთვის და ქაღალდზე დასარჩენად არ უნდა ჩატარდეს.


ვლადიმერ ტაბაღუა

***– ანუ პენიტენციურ სისტემაში რეფორმა რეფორმისთვის ჩატარდა და ქაღალდზე დარჩა?***

– დიახ. დღესდღეობით რეფორმა ჩატარდა რეფორმისთვის და ის ჯერჯერობით ქაღალდზე არსებობს.

***– რეფორმას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია?***

– რეფორმას შედეგი მაშინ მოჰყვება, როცა მას შესაბამისი ბაზა გააჩნია. უნდა იყოს განსაზღვრული მსჯავრდადებულების კლასიფიკაცია, როგორ და ვინ უნდა წარმართოს, არის თუ არა რაიმე პროგრამები და მუშავდება თუ არა.

***– იქნებ აქვთ ასეთი პროგრამები და მუშაობენ კიდეც, ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი ვიცით.***

– შეიძლება თქვენ არ იცით, არ გაგიგიათ, მაგრამ მე ვარ ადვოკატი, ყოველდღე დავდივარ სხვადასხვა საპატიმრო დაწესებულებაში და შეხება მაქვს როგორც თანამშრომლებთან და პატიმრებთან, ასევე მათ ხელმძღვანელებთან. ნებისმიერს რომ ჰკითხო, რა ღონისძიებას ატარებთო, გეტყვიან, ვიცავთ, რომ არაფერი მოხდეს, ერთმანეთს არაფერი დაუშავონ, არ მოეწყოს გაქცევა, საკანში აკრძალული ნივთი არ მოხდეს, აჭამონ, ასვან. ჩააცვან და შეინახონ.

***– აბა, მეტი რა არის საჭირო?***

– თუ ჩვენ გვინდა, ცივილიზებული სახელმწიფოს სტანდარტები იყოს გამოყენებული და პატიმარი საზოგადოებას დაუბრუნდეს, მასთან სამუშაოებია ჩასატარებელი.



***– ლექციები უნდა წაუკითხონ, რაიმე ლიტერატურა უნდა მიაწოდონ თუ რა უნდა გააკეთონ?***

– საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს. მსჯავრდებულები უნდა გამოვკითხოთ, თუ საშუალო განათლება არ აქვს მიღებული, სკოლაში უნდა შევქმნათ და ვასწავლოთ.

***– არასრულწლოვნებს?***

– ციხეში არასრულწლოვნებს კი არა, სრულწლოვნებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალო განათლების მიღების საშუალება.

***– არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სკოლა ხომ არის და სწავლობენ?***

– საბჭოთა კავშირის დროს სწავლობდნენ. დამისახელეთ, ახლა სად არის გახსნილი სკოლა და არასრულწლოვანი პატიმრები სად სწავლობენ. ასეთი რამ დღეს არ არსებობს.

პატიმრები ასევე უნდა დასაქმდნენ. შრომითი თერაპია და სწავლა არის პირველი წყარო ადამიანის ცნობიერების შესაცვლელად.

გარდა იმისა, პატიმარს შიდა მოსამსახურეები სჭირდება, რომ დაალაგონ, ბალანდა აიტანონ და დაარიგონ. ციხეში სხვა არავითარი სამუშაო არ არის. საწარმოები განადგურდა. მის აღდგენაზე უნდა იზრუნონ სახელმწიფომ და მინისტრმა, უნდა მოძებნონ ორგანიზაციები, ფერმები სოფლის მეურნეობის, მშენებლობის ხაზით, სადაც დაასაქმებენ პატიმარს, კონტრაქტს დადებენ. მოხდება მათი ეტაპირება და დაცვა.

***– უფასოდ?***

– არავითარი უფასოდ. ანაზღაურება უნდა იყოს, რაც კანონშია ჩადებული. ეს არ ხორციელდება. ამიტომ გეუბნებით, ციხე ჯერჯერობით თვითდინებით მიდის. სპეციალური პროგრამები არსებობს, ადამიანი საკანში რომ არ იყოს დღენიადაგ გამოკეტილი. არის თუ არა ციხე რადიოფიცირებული, ლექციები ტარდება თუ არა თუნდაც დანაშაულის შესახებ ანუ ისეთ თემატიკაზე, რომელიც პატიმარს თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეაზიზღებს.

***– რას აკეთებს სოციალური სამსახური მთელი დღის განმავლობაში?***

– სოციალური სამსახურის თანამშრომელი გეტყვის, რომ წერს დახასიათებას, გამოჰკითხავს, განცხადებას გაუგზავნის. ე.ი. კურიერია.

***– რა უნდა გააკეთოს სოციალურმა სამსახურმა ციხეში?***

– სოციალური სამსახური არის აღმზრდელი, როგორც სკოლაში პედაგოგი. დღიდან შესვლისა, პატიმრის გათავისუფლებამდე უნდა ცდილობდეს, კავშირი ჰქონდეს, გამწვავებული ურთიერთობა თუ არის, მოაწესრიგოს, თუ შრომით დასაქმებას ითხოვს, ადმინისტრაციამდე ამბავი მიიტანოს, თუ დარღვევები აქვს პატიმარს, თვითონ მოახდინოს რეაგირება და შესაბამისი საუბრები ჩაუტაროს, რამ გამოიწვია, სხვამ ხომ არ უბიძგა. სოციალურ სამსახურს ციხეში უამრავი სამუშაო აქვს, მაგრამ არაფერი კეთდება.

ოპერატიულ-სარეჟიმო სამსახური ერთადერთი, პატიმარს ეუბნება, რატომ არ ადექი, რატომ წევხარ ან რატომ დაუბრახუნეო. ამით შემოიფარგლება მათი მუშაობა. დაარქვეს სამართლებრივი რეჟიმი. სამართლებრივ რეჟიმს რომ არქმევ, ადამიანი, რომ შედის, უნდა იცოდეს, უნდა ასწავლო, რის უფლება აქვს. პატიმარი ციხეში რომ შევა, იმ დღიდან სამთვიანი კარანტინის განმავლობაში მათთან სოციალური და სამართლებრივი სამსახურების მუშაკები უნდა მუშაობდნენ.

***– ახალმა მინისტრმა ეს არ იცის, რატომ ვერ ახერხებს იმის განხორციელებას, რაზეც თქვენ საუბრობთ?***

– ახალმა მინისტრმა ყველაფერი ძალიან კარგად იცის, მაგრამ პროგრამებია შესამუშავებელი, რასაც ბაზა და დამატებით თანხა სჭირდება. სამედიცინო მომსახურება შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ დაწესებულებებში წამლების დეფიციტია. ხანდახან თავის ტკივილის წამალი არ არის.

## ჯონ ქერი: „სირიაში ძალადობამ 70-80 პროცენტით იკლო“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ სირიაში სამშვიდობო პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ასადის ხელისუფლებამ ოპოზიციაზე შეტევა განახორციელა, 14 მარტს ჟენევაში სამშვიდობო მოლაპარაკებები მაინც გაიმართება.

– დღეისთვის სირიაში ძალადობის ხარისხმა 70-80 პროცენტით იკლო. რომ არა სამშვიდობო ხელშეკრულება, ეს ვერ მოხერხდებოდა, – ამბობს ქერი.





## ნადეჟდა სავჩენკოს გაათავისუფლებენ?

შედგა ანგელა მერკელისა და ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბარი. საუბრის ძირითადი თემა ნადეჟდა სავჩენკოს პროცესი იყო.

– პუტინმა გამოთქვა მზადყოფნა, პროცესის დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სავჩენკო. სავარაუდოდ, ეს შეწყალების გზით მოხდება, – იტყობინება სააგენტო „უნიანი“.

ექსპერტების აზრით, თუკი პუტინმა სავჩენკო მართლა გაათავისუფლა, ეს ცხადი ნიშანია იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტი კომპრომისებისათვის მზადაა. გამოითქმება მეორე მოსაზრებაც:

რუსეთის ციხეში გამომწყვდეული სავჩენკო პრობლემას მხოლოდ პუტინისთვის წარმოადგენს, უკრაინაში დაბრუნებული კი – პოროშენკოსათვის.

რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა პესკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლების საკითხი არ განიხილება.

– მის ბედს სასამართლო გადაწყვეტს, – თქვა პესკოვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საერთაშორისო

## აქცია ტრამპის წინააღმდეგ

ილინოისის უნივერსიტეტის შესასვლელთან რამდენიმე ასეულმა ახალგაზრდამ ტრამპის საწინააღმდეგო აქცია გამართა. ისინი სკანდირებდნენ:

– ძირს რასისტი ტრამპი!

შედეგად ილინოისის უნივერსიტეტში დაგეგმილი ტრამპის გამოსვლა ჩაიშალა. მილიარდერის მთავარმა კონკურენტმა ტედ კრუზმა ახალგაზრდების საქციელი დაგმო:

– ამგვარი მეთოდებით ბრძოლა მიუღებლად მიმაჩნია. ამავე დროს, უნდა განვაცხადო, რომ ტრამპმა თავისი რიტორიკით ადამიანებში აგრესია გააღვივა.

თავად ტრამპმა ახალგაზრდების საქციელს სამარცხვინო უწოდა.

– ამ ახალგაზრდებს ენერგიის მოჭარბება აწუხებთ. ჯობდა, ის რაიმე სხვა მიმართულებით გამოეყენებინათ, – თქვა ტრამპმა.



# დინამო თითქმის ჩემპიონია



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ზუგდიდი – დინამო (თბ) 2:3**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 არაბული (18), 1:1 მალანია (31), 1:2 ჭელიძე (52), 2:2 შეველი (66), 2:3 ჯიღაური (70)

**ზუგდიდი:** ჯომიდავა, მაჩაიძე, ჩუკურა, გაგოშიძე, ჩანადირი, ტყემალაძე, მალანია (ქირია 59), სიხარულია (ლაშხია 68), გ.სამუშია, კოვალენკო, ქობალია (შეველი 60)

**დინამო:** ბეგაშვილი, თევზაძე (გურული 58), ამისულაშვილი, გველესიანი, უ.ლობჟანიძე, ჭელიძე, ჯიღაური, კიტეიშვილი, არაბული (ჯანელიძე 71), იაშვილი (რენე 84), ქვილითაია

მატჩში პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, როდესაც მე-9 წუთზე გიორგი თევზაძის ჩაწოდებულს ბაჩანა არაბული ასრულებდა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. საპასუხო შეტევაში გურამ სამუშია დაემუქრა თბილისელთა კარს, მისი დარტყმულიც არაზუსტი აღმოჩნდა. ხუთიოდე წუთში ირაკლი ქობალიას დარტყმული ასცდა სტუმართა კარს.

მე-18 წუთზე დინამოელებმა გახსნეს ანგარიში – ალექსანდრე იაშვილმა ოთარ კიტეიშვილთან გაითამაშა კუთხური, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, სადაც ყველას ბაჩანა არაბულმა დაასწრო და თავით გაიტანა.

თამაში უფრო აქტიურად გაგრძელდა და 23-ე წუთზე ევგენი კოვალენკოს შეექმნა სახიფათო მომენტი. მისი დარტყმული ზემოდან გადასცდა დინამოს კარის ხარიხას. მატჩის 31-ე წუთზე სოსო მალანიამ საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა. პირველ ტაიმში აღარაფერი შეცვლილა 1:1.

შესვენების შემდეგ თამაში ზუგდიდელთა სახიფათო საჯარიმო დარტყმითა და გიორგი ქვილითაიას ძლიერად დარტყმულით განახლდა. ორივე მომენტში ბურთი მცირედით ასცდა კარს.

52-ე წუთზე ალექსანდრე იაშვილმა ჩააწოდა შეტევის მარცხენა ფრთიდან, ზაზა ჭელიძემ კი ზუსტი თავურით წინ გაიყვანა სტუმრები.

მატჩის 66-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა იური შეველმა მეორედ აღადგინა თანაფარდობა 2:2. გოლიდან ორიოდე წუთში უჩა ლობჟანიძემ ვერ გამოიყენა წინ გასვლის რეალური შანსი. მომდევნო შეტევაში თბილისელებმა მოაწოდეს კუთხური. ალექსანდრე იაშვილის ჩაწოდებული ჯაბა ჯიღაურმა მიიღო, გაისწორა ბურთი და ძლიერი დარტყმით მესამედ აიღო ზუგდიდის კარი.

ბოლოს ოთარ კიტეიშვილს ჰქონდა შანსი, მაგრამ დარტყმულს სიძლიერე დააკლდა. საბოლოოდ დინამომ დაძაბულ შეხვედრაში 3:2 მოიგო, 55 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარს გორის დილას, რომელსაც მომდევნო მატჩში, 17 მარტს უმასპინძლებს, 14 ქულით უსწრებს.

**ლოკომოტივი – სიონი 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ხიდეშელი, მახარაძე, გეთიაშვილი, ჭანტურია, ჩიტეიშვილი, მზევაშვილი, არდაზიშვილი (კიკაბიძე 80), ჩიხლაძე (ქანთარია 61), სამურკასოვი (სულთანიშვილი 86)

**სიონი:** მერლანი, ფოფხაძე, სვანიძე, კილასონია, რაზმაძე (ვასაძე 80), გოგობერიშვილი, გვალია (საჯაია 46), გაფრინდაშვილი, მანჯგალაძე, ტატანაშვილი (ლუის ალბერტო 60)

მატჩი არც ისეთი სწრაფი და დაძაბული გამოდგა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. პირველ ტაიმში ორივე გუნდს საგოლე მომენტები თითქმის არ ჰქონიათ.

დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ მასპინძლებსაც და სტუმრებაც ფრთხილი ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იყვნენ ორიენტირებულები. ეს, განსაკუთრებით, „რკინიგზელებს" ეტყობოდათ, რომლებიც დაცვით ფეხბურთს თამაშობდნენ და კონტრშეტევებზე ჰქონდათ აქცენტი გაკეთებული.

საბოლოოდ, ჟერარდ სარაგოსას ტაქტიკამ გაამართლა. მათ ვერ გაიტანეს, მაგრამ არც ბოლნისელებს გაატანინეს და მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.

**დილა – ჩიხურა 1:1**

1:0 მოდებაძე (7), 1:1 სარდალიშვილი (45)

დილამ მორიგი ქულები დაკარგა და კიდევ უფრო სათუო გაიხადა ევროსაგზურებისთვის ბრძოლა. არადა, ირაკლი მოდებაძის გოლით იგებდა, თუმცა მიშო სარდალიშვილმა გაუთანაბრა.

აღსანიშნავია, რომ საჩხერელთა რიგებში ორ უცხოელ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი. ძირითად შემადგენლობაში იყო 28 წლის ბოსნიელი მეკარე დინო ჰამზიჩი, რომელიც ბოლოს სამშობლოში, პრემიერლიგის ბინადარ სარაევოს ოლიმპიკში ასპარეზობდა, მეორე ტაიმში კი ჩიხურას შემადგენლობაში 28 წლის სლოვენიელი ნახევარმცველი ანეი ლოვრეჩიჩი გამოჩნდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 20 | 18 | 1 | 1 | 56-17 | 55 |
| 2.დილა | 20 | 12 | 5 | 3 | 34-16 | 41 |
| 3.სამტრედია | 19 | 12 | 2 | 5 | 45-22 | 38 |
| 4.სიონი | 20 | 11 | 5 | 4 | 39-22 | 38 |
| 5.ცხინვალი | 19 | 10 | 6 | 3 | 37-22 | 36 |
| 6.ჩიხურა | 20 | 10 | 4 | 6 | 36-18 | 34 |
| 7.დინამო (ბთ) | 19 | 9 | 6 | 4 | 31-18 | 33 |
| 8.ტორპედო | 19 | 8 | 5 | 6 | 30-28 | 29 |
| 9.შუქურა | 19 | 7 | 6 | 6 | 19-17 | 27 |
| 10.საბურთალო | 19 | 6 | 3 | 10 | 27-46 | 21 |
| 11.კოლხეთი | 19 | 5 | 3 | 11 | 14-25 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 20 | 4 | 5 | 11 | 20-27 | 17 |
| 13.გურია | 19 | 3 | 7 | 9 | 15-30 | 16 |
| 14.მერანი | 19 | 3 | 2 | 14 | 16-46 | 11 |
| 15.ზუგდიდი | 20 | 1 | 6 | 13 | 15-45 | 9 |
| 16.საპოვნელა | 19 | 2 | 2 | 15 | 12-47 | 8 |

# ქუთაისმა დინამოს ლიდერობა ჩამოართვა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ქუთაისი – დინამო 82:78**

**(19:16; 25:17; 13:28; 25:17)**

ქუთაისმა სუპერლიგის ერთპიროვნულ ლიდერ დინამოს უმასპინძლა, ბოლო წუთზე ბრძოლაში – 82:78 დაამარცხა და გალიდერდა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ჯერ ქუთაისი იგებდა. მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 19:16 მოიგეს, ხოლო მეორე პერიოდის მე-8 წუთზე კოტე ტუღუშის გუნდის უპირატესობამ სოლიდური სახე მიიღო – 42:28. 14-ქულიანი ლიდერობა წარმატებაზე ფიქრის საკმარისი საფუძველი იყო, თუმცა ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა შესანიშნავი მესამე მეოთხედი ჩაატარეს და მასპინძლები უკანაც მოიტოვეს.

დიდ შესვენებამდე თბილისელებმა ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირეს, ხოლო მესამე პერიოდიდან მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობეს. გიორგი შარაბიძის, ჯუევ მაილსის და ნოდარ გოგოძის შედეგიანობით დინამომ მესამე 10-წუთეული 28:13 მოიგო და ბოლო პერიოდის წინ 4 ქულით – 61:57 დაწინაურდა.

მიხეილ ბერიშვილის ქულებით სტუმრები ბოლო მეოთხედის მე-5 წუთზე 71:63 დაწინაურდნენ და ახლა ქუთაისი აღმოჩნდა წაგების რეალური საფრთხის წინაშე. დარჩენილ 5:30 წუთში მასპინძლებმა ტაქტიკა აირჩიეს – მტკიცე დაცვა და შეტევაში მეტი მობილიზება.

იმერულმა კლუბმა საფინალო სირენამდე 39 წამით ადრე ქულიანი ლიდერობა (78:77) მოიპოვა და საბოლოოდ გამარჯვებამდეც მივიდა. საკვანძო აღმოჩნდა მაისლის აცილებული სამქულიანი და ცეკვავას მოხსნა. დინამოელებმა ქუთაისელ უკანახაზელზე ტაქტიკური ჯარიმა აიღეს, ცეკვავამ კი საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე ორივე საჯარიმო ჩააგდო და მასპინძელთა გუნდი მიუწვდომელი გახადა.

ქუთაისში 15 ქულით და 17 მოხსნით საუკეთესო იყო ბექა ბექაური, 13 ქულა გიორგი ბარბაქაძემ მიითვალა, ხოლო ფაშაევის ანგარიშზე 11 ქულა და 9 პასი დაგროვდა. დინამოელთა შორის 19 ქულით ბომბარდირი გიორგი შარაბიძე გახდა, 17 ქულა და 9 მოხსნა მიხეილ ბერიშვილმა მიითვალა.

**მგზავრები – აკადემია 91:77**

**(20:20; 23:18; 25:12; 23:27)**

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა მეტოქე დამაჯერებლად, ზედმეტი გართულებების გარეშე – 91:77 დაამარცხეს.



პირველ ტაიმს არ ეტყობოდა, რომ მატჩი საბოლოოდ ასე დიდი სხვაობით დასრულდებოდა. აკადემია ტოლს არ უდებდა მეტოქეს. დიდი შესვენება მგზავრების 5-ქულიანი ლიდერობით დასრულდა, რის შემდეგაც ბერიშვილის გუნდი მატჩის სადავეებს ბოლომდე დაეპატრონა და ისეთ უპირატესობას დაეუფლა, მატჩის ბედი გადაწყვიტა.

კახა ჯინჭარაძის, კენდალ უილიამსის, კაჰიმ რენსომისა და რეჯი მერფის მექულეობით მგზავრებმა მესამე პერიოდი 25:12 მოიგეს და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს.

საბოლოოდ მგზავრებმა 91:77 იმარჯვეს და ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლეს, თუმცა სოხუმს ტურის მატჩი ჩასატარებელი აქვს და სამშაბათს ბათუმში ითამაშებს.

**ოლიმპი – რუსთავი 71:65**

**(13:21; 24:25; 16:16; 18:13)**

ერთმანეთს ცხრილის ქვედა ნახევრის წარმომადგენლები შეხვდნენ და საკმაოდ დაძაბულ ორთაბრძოლაში ოლიმპმა რუსთავი დაამარცხა.

ეს გუნდები მიმდინარე სუპერლიგაში მაღალი შედეგიანობით არ გამოირჩევიან და ლიგაში დარჩენის გარანტიის მისაღებად მათთვის თითოეული მატჩის მოგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მატჩშიც ორივე დაპირისპირებულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის, რომელიც საბოლოოდ დაცვაში უფრო გამართულად მოთამაშე ოლიმპს დარჩა.

არადა, რუსთაველებმა პირველი მეოთხედი 21:13 მოიგეს, თუმცა მეორე პერიოდში ოლიმპისგან ყველა კომპონენტში დაიჩაგრნენ და დიდ შესვენებაზე 1-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ.

მესამე პერიოდიდან თანაბარი ორთაბრძოლა წავიდა და ბოლო წუთზე ოლიმპმა სოლიდურ უპირატესობას მიაღწია – 69:60.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 21 | 13 | 8 | 1615-1548 | 34 |
| 2.დინამო | 21 | 13 | 8 | 1504-1457 | 34 |
| 3.სოხუმი | 20 | 12 | 8 | 1554-1408 | 32 |
| 4.ბათუმი | 20 | 12 | 8 | 1564-1499 | 32 |
| 5.მგზავრები | 21 | 11 | 10 | 1514-1583 | 32 |
| 6.რუსთავი | 21 | 9 | 12 | 1573-1570 | 30 |
| 7.ოლიმპი | 21 | 9 | 12 | 1542-1573 | 30 |
| 8.აკადემია | 21 | 4 | 17 | 1532-1760 | 25 |

## შედეგები

### 12 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-სიტი ................................ 0:0
ბორნმუთი-სუონსი ......................... 3:2
სტოკი-საუთჰემპტონი ...................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 52-31 | 60 |
| 2.ტოტენჰემი | 29 | 15 | 10 | 4 | 51-24 | 55 |
| 3.არსენალი | 29 | 15 | 7 | 7 | 46-30 | 52 |
| 4.სიტი | 29 | 15 | 6 | 8 | 52-31 | 51 |
| 5.ვესტ ჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 45-33 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 29 | 13 | 8 | 8 | 37-27 | 47 |
| 7.საუთჰემპტონი | 30 | 12 | 8 | 10 | 38-30 | 44 |
| 8.ლივერპული | 28 | 12 | 8 | 8 | 43-37 | 44 |
| 9.სტოკი | 30 | 12 | 7 | 11 | 32-36 | 43 |
| 10.ჩელსი | 29 | 10 | 10 | 9 | 43-39 | 40 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 9 | 10 | 30-36 | 39 |
| 12.ევერტონი | 28 | 9 | 11 | 8 | 51-39 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 30 | 10 | 8 | 12 | 38-47 | 38 |
| 14.უოტფორდი | 29 | 10 | 7 | 12 | 29-30 | 37 |
| 15.კრ.პალასი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-39 | 33 |
| 16.სუონსი | 30 | 8 | 9 | 13 | 30-40 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 29 | 6 | 7 | 16 | 35-54 | 25 |
| 18.ნორვიჩი | 30 | 6 | 7 | 17 | 31-54 | 25 |
| 19.ნიუკასლი | 28 | 6 | 6 | 16 | 28-53 | 24 |
| 20.ასტონ ვილა | 29 | 3 | 7 | 19 | 22-55 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-ხეტაფე ........................ 6:0
სელტა-სოსიედადი .......................... 1:0
ატლეტიკო-დეპორტივო ................... 3:0
რაიო-ეიბარი .................................. 1:1
ლევანტე-ვალენსია ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 84-22 | 75 |
| 2.ატლეტიკო | 29 | 21 | 4 | 4 | 45-12 | 67 |
| 3.რეალი | 28 | 18 | 6 | 4 | 81-27 | 60 |
| 4.ვილიარეალი | 28 | 15 | 8 | 5 | 33-19 | 53 |
| 5.სელტა | 29 | 13 | 6 | 10 | 41-51 | 45 |
| 6.სევილია | 28 | 12 | 9 | 7 | 39-29 | 45 |
| 7.ბილბაო | 28 | 13 | 5 | 10 | 44-36 | 44 |
| 8.ეიბარი | 29 | 10 | 7 | 12 | 41-41 | 37 |
| 9.მალაგა | 29 | 9 | 9 | 11 | 28-28 | 36 |
| 10.სოსიედადი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-40 | 35 |
| 11.ბეტისი | 28 | 8 | 10 | 10 | 26-36 | 34 |
| 12.ვალენსია | 28 | 8 | 10 | 10 | 33-33 | 34 |
| 13.დეპორტივო | 29 | 6 | 15 | 8 | 37-42 | 33 |
| 14.ესპანიოლი | 28 | 9 | 4 | 15 | 28-54 | 31 |
| 15.ლას პალმასი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-40 | 30 |
| 16.რაიო | 29 | 6 | 9 | 14 | 39-61 | 27 |
| 17.ხეტაფე | 29 | 7 | 6 | 16 | 27-51 | 27 |
| 18.გრანადა | 28 | 7 | 5 | 16 | 29-53 | 26 |
| 19.ხიხონი | 29 | 6 | 6 | 17 | 30-51 | 24 |
| 20.ლევანტე | 28 | 5 | 6 | 17 | 26-52 | 2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-აინტრახტი ..................... 3:0
ჰანოვერი-კიოლნი .......................... 0:2
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ............. 1:0
ინგოლშტადტი-შტუტგარტი ........ 3:3
დარმშტადტი-აუგსბურგი ............. 2:2
ბაიერნი-ვერდერი .......................... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 21 | 3 | 2 | 64-13 | 66 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 18 | 4 | 3 | 59-25 | 58 |
| 3.ჰერტა | 26 | 13 | 6 | 7 | 35-26 | 45 |
| 4.გლადბახი | 26 | 13 | 3 | 10 | 53-42 | 42 |
| 5.შალკე | 26 | 12 | 5 | 9 | 37-34 | 41 |
| 6.მაინცი | 25 | 12 | 4 | 9 | 34-30 | 40 |
| 7.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 7 | 9 | 38-33 | 37 |
| 8.ლევერკუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 36-33 | 36 |
| 9.კიოლნი | 26 | 8 | 9 | 9 | 28-33 | 33 |
| 10.ინგოლშტადტი | 26 | 8 | 9 | 9 | 22-29 | 33 |
| 11.შტუტგარტი | 26 | 9 | 5 | 12 | 43-52 | 32 |
| 12.ჰამბურგი | 25 | 8 | 7 | 10 | 30-34 | 31 |
| 13.აუგსბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 32-40 | 27 |
| 14.დარმშტადტი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-40 | 27 |
| 15.ვერდერი | 26 | 7 | 6 | 13 | 35-53 | 27 |
| 16.აინტრახტი | 26 | 5 | 9 | 12 | 28-43 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 26 | 5 | 9 | 12 | 27-42 | 24 |
| 18.ჰანოვერი | 26 | 5 | 2 | 19 | 22-48 | 17 |

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-სამპდორია ....................... 1:1
ინტერი-ბოლონია .......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 29 | 21 | 4 | 4 | 51-15 | 67 |
| 2.ნაპოლი | 28 | 18 | 7 | 3 | 58-23 | 61 |
| 3.რომა | 28 | 16 | 8 | 4 | 59-29 | 56 |
| 4.ინტერი | 29 | 16 | 6 | 7 | 39-27 | 54 |
| 5.ფიორენტინა | 28 | 16 | 5 | 7 | 49-31 | 53 |
| 6.მილანი | 28 | 13 | 8 | 7 | 39-30 | 47 |
| 7.სასუოლო | 29 | 11 | 11 | 7 | 36-32 | 44 |
| 8.ლაციო | 28 | 10 | 8 | 10 | 35-37 | 38 |
| 9.ბოლონია | 29 | 10 | 6 | 13 | 30-33 | 36 |
| 10.ემპოლი | 29 | 9 | 8 | 12 | 34-42 | 35 |
| 11.კიევო | 28 | 9 | 7 | 12 | 33-39 | 34 |
| 12.ტორინო | 28 | 8 | 9 | 11 | 34-35 | 33 |
| 13.სამპდორია | 29 | 8 | 8 | 13 | 43-47 | 32 |
| 14.ჯენოა | 28 | 8 | 7 | 13 | 28-32 | 31 |
| 15.ატალანტა | 28 | 7 | 9 | 12 | 26-33 | 30 |
| 16.უდინეზე | 28 | 8 | 6 | 14 | 24-42 | 30 |
| 17.პალერმო | 28 | 7 | 6 | 15 | 28-50 | 27 |
| 18.ფროზინონე | 28 | 7 | 5 | 16 | 28-53 | 26 |
| 19.კარპი | 28 | 4 | 10 | 14 | 24-44 | 22 |
| 20.ვერონა | 28 | 2 | 12 | 14 | 24-48 | 18 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლორიანი-მარსელი ........................ 1:1
გენგამი-სტ.ეტიენი ......................... 2:0
გაზელეკი-კაენი ............................. 1:0
მონპელიე-ნიცა .............................. 0:2
ბასტია-ლილი ................................ 1:2
ტულუზა-ბორდო ........................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 23 | 5 | 1 | 68-15 | 74 |
| 2.მონაკო | 30 | 13 | 13 | 4 | 44-34 | 52 |
| 3.ნიცა | 30 | 13 | 8 | 9 | 43-33 | 47 |
| 4.ლიონი | 29 | 13 | 6 | 10 | 45-31 | 45 |
| 5.რენი | 29 | 11 | 11 | 7 | 40-34 | 44 |
| 6.კაენი | 30 | 13 | 4 | 13 | 32-39 | 43 |
| 7.სტ.ეტიენი | 30 | 12 | 6 | 12 | 33-34 | 42 |
| 8.ნანტი | 29 | 10 | 11 | 8 | 27-28 | 41 |
| 9.ლილი | 30 | 9 | 13 | 8 | 25-24 | 40 |
| 10.მარსელი | 30 | 8 | 15 | 7 | 40-31 | 39 |
| 11.ანჟე | 29 | 10 | 9 | 10 | 29-29 | 39 |
| 12.ლორიანი | 30 | 9 | 12 | 9 | 41-42 | 39 |
| 13.ბასტია | 30 | 11 | 6 | 13 | 28-31 | 39 |
| 14.ბორდო | 30 | 9 | 11 | 10 | 38-48 | 38 |
| 15.მონპელიე | 30 | 10 | 6 | 14 | 36-35 | 36 |
| 16.გენგამი | 30 | 9 | 8 | 13 | 36-45 | 35 |
| 17.რეიმსი | 30 | 8 | 9 | 13 | 34-43 | 33 |
| 18.გაზელეკი | 30 | 7 | 12 | 11 | 31-40 | 33 |
| 19.ტულუზა | 30 | 5 | 11 | 14 | 32-48 | 26 |
| 20.ტრუა | 29 | 2 | 8 | 19 | 21-59 | 14 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის განკურნება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

*სპორტი*

# ფაჩულიას მწირი დრო და მწირი მონაგარი

დალასს კრიზისი უდგას – ზაზა ფაჩულიას გუნდმა ზედიზედ მე-5 მატჩი წააგო, რაც მიმდინარე სეზონში ამ გუნდის ყველაზე ცუდი შედეგია. მორიგი მარცხი ტეხასელებმა შინ, ინდიანასთან განიცადეს.



ფაჩულიამ თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო, თუმცა მოედანზე 17 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 9-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და მოგროვილ 6 ქულას 9 მოხსნა და 1 პასი მიამატა. ბოლო მატჩების მსგავსად ტეხასელთაგან საუკეთესო კვლავ დირკ ნოვიცკი გახლდათ, რომელმაც თავი 30 ქულას მოუყარა. 15 ქულა ვესლი მეთიუზის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო ფაჩულიას შემცვლელმა დევიდ ლიმ 19 წუთში 10 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

33 მოგებითა და ამდენივე წაგებით დალასი დასავლეთ კონფერენციის მე-7-8 ადგილებს პორტლენდთან იყოფს და საპლეიფო ზონაშია, ხოლო მე-9 ადგილზე მყოფ იუტას 30 მოგება და 35 მარცხი აქვს.

მომდევნო მატჩს დალასელები 15 მარტს სტუმრად, შარლოტთან გამართავენ.

# საქართველომ რუსეთი სოჭში დასცა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მატჩში სამი ლელო მივითვალეთ, მაგრამ ანგარიში ჯარიმით მერაბ კვირიკაშვილმა გახსნა – 3:0. მალევე მეტოქის ლელოს ხაზი თამაზ მჭედლიძემ გადაკვეთა. თაზოს ლელო კვირიკაშვილმა გარდასახა – 10:0. ტაიმის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმში რუსეთის ლელოში ანტონ ფეიქრიშვილმა დაამიწა და მეკომ გარდასახა – 17:0

მორიგი 5 ქულა ბორჯღალოსანთა ყულაბას გიორგი ნემსაძემ მიამატა. კვირიკაშვილის გარდასახვა კვლავ ზუსტი იყო – 24:0

მატჩის დასრულებამდე ერთი ლელო მასპინძლებმა გაქვითეს, რომელიც რამილ გაისინმა მიითვალა, ხოლო იური კურშნარიოვმა გარდასახა და მატჩის საბოლოო ანგარიში 24:7 დააფიქსირა.

ჯგუფი მორიგი გამარჯვება მიითვალა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც გერმანია 61:7 მოუგო, მაგრამ მისი წარმატების მიუხედავად, ქართველები უკვე გახდნენ ევროპა თასის გამარჯვებულები.

ესპანეთმა პორტუგალიას 39:7 მოუგო და მინიმალური შანსი დაიტოვა, ჯგუფში რუსეთს გადაასწროს, რათა მე-3 ადგილი დაიკავოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 9 | 9 | 0 | 0 | 308:66 | 40 |
| 2.რუმინეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 253:100 | 34 |
| 3.რუსეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 178:213 | 22 |
| 4.ესპანეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 215:187 | 21 |
| 5.გერმანია | 9 | 1 | 0 | 8 | 145:379 | 6 |
| 6.პორტუგალია | 9 | 1 | 0 | 8 | 103:257 | 6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასტროპროგნოზი
## 14 მარტისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით ქალებისთვის. კარიერაში წინსვლა გელით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისგან თავი უნდა შეიკავონ. **კურო** – ნუ იაქტიურებთ. სწორ გზას ადგახართ. დაიმუხტეთ დადებითი ემოციებით და იყავით ოპტიმისტი. **ტყუპები** – სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. საქმიანი შეხვედრები და მივლინებები სხვა დროისათვის გადადეთ. **კირჩხიბი** – პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერი უსიამოვნება ფილოსოფიურ ჭრილში განიხილოთ. **ლომი** – მოახდინეთ მთელი ძალების კონცენტრაცია და ნებისმიერი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. **ქალწული** – იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **სასწორი** – ჰარმონიული დღეა, შესაფერისი პერიოდი აქტიური და შინაარსიანი დასვენებისათვის. ნებისმიერ საქმე დღეს თავს იოლად გაართმევთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. **ღრიანკალი** – კარგი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – დღეს, უმჯობესია, პირად ცხოვრებას მიხედოთ, ასევე იზრუნოთ ჯანმრთელობაზე. მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **თხის რქა** – საპირისპირო სქესის ყურადღებას გრძნობთ. პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილება გელით. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი გეკრძალებათ. **თევზები** – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

*კალეიდოსკოპი*

## თერთმეტი წლის ჩინელმა თითი მოიჭრა

ონლაინთამაშების მოყვარულმა ჩინელმა მოზარდმა ხელზე თითი მშობლებთან კამათის დროს მოიჭრა.

11 წლის ბიჭმა (მისი ნამდვილი სახელი უცნობია, ჩინური პრესა გამოგონილ სახელს – სიაოპენს იყენებს) სმარტფონზე თამაში გაღვიძებისთანავე დაიწყო, რითიც დედის უკმაყოფილება გამოიწვია. მან შვილს უთხრა, რომ ცუდ მაგალითს აძლევდა საკუთარ ძმას, რაზეც სიაოპენმა უპასუხა, რომ მისი ექვსი წლის ძმა თამაშებით დაინტერესებას არ ავლენდა.

დედისა და შვილის კამათში ჩაერთო მამაც, რასაც მალე ხმის აწევა მოჰყვა. კამათისთვის წერტილის დასმის მიზნით სიაოპენმა ხელში დანა აიღო და მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითი მოიჭრა.

მოზარდი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, რომელიც



სამი საათი გრძელდებოდა. ექიმების თქმით, მოკვეთილი თითის მიკერების ოპერაციის წარმატებით დასრულებაზე საუბარი მხოლოდ ერთი კვირის მერე იქნება შესაძლებელი.

## ჯეიმს დინის კომპანია პორნოს გამო დააჯარიმეს

კომპანიას, რომელიც ჯეიმს დინ პროდაქშენის სახელითაა ცნობილი და რომელიც პორნომსახიობ ჯეიმს დინს ეკუთვნის, 77,8 ათასი დოლარის ჯარიმა გამოუწერეს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების დაცვის წესების იგნორირებისთვის. კერძოდ, საუბარია პორნოს გადაღების დროს პრეზერვატივის გამოუყენელობაზე.



სამართალდარღვევა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა გამოავლინეს. ექსპერტებმა გამოარკვიეს, რომ კომპანიამ არ ჩაატარა საკუთარი მსახიობების ვაქცინაცია ჰეპატიტსა და სხვა დაავადებებზე, რომელთა გადაცემა სქესობრივი გზითაა შესაძლებელი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კომპანიაში არასათანადო ყურადღებას უთმობენ ვენერიული დაავადებების პროფილაქტიკას. მინიმუმ ოთხი სერიოზული დარღვევაა გამოვლენილი: კერძოდ, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოითხოვდა საწარმოო პროცესის დროს პრეზერვატივების გამოყენებას, – ნათქვამია სამმართველოს მოხსენებაში.

თავად ჯეიმს დინმა განაცხადა, რომ კომპანია თანამშრომლებს უფლებას აძლევს, მათივე თხოვნის საფუძველზე არ გამოიყენონ პრეზერვატივები, ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადასაღებ მოედანზე დაინფიცირების ერთ შემთხვევასაც კი არ ჰქონია ადგილი.

## ჩინელი მამაკაცები მთაზე კაბებსა და ქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილები ავიდნენ

ჩინეთის პროვინცია გუანდუნში მამაკაცების ჯგუფი, რომელიც ქალის კაბებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში იყო გამოწყობილი, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მთაზე ავიდა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეუღლეებისთვის როლების გაცვლით ჩინელ მამაკაცებს სურდათ საკუთარ თავზე გამოეცადათ თანამედროვე ქალების ცხოვრებისეული სირთულეები.

ღონისძიების მონაწილეები გაჭირვებით ადიოდნენ კიბეზე, მათ გარშემო ეხვივნენ ცნობისმოყვარე ტურისტები, რომლებსაც ისინი ზრდილობიანად ულიმოდნენ. უკანა გზაზე კი ზოგიერთი მამაკაცი იძულებული გახდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაეხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პლანეტის უხუცესი მცხოვრები ოსვენციმის ყოფილი პატიმარი გახდა

ჰოლოკოსტგადატანილი 112 წლის ისრაელ კრისტალი მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ მამაკაცად აღიარეს. ამ ინფორმაციას ისრაელის მასმედია ავრცელებს.

კრისტალი რეკორდსმენ დღეგრძელად მას შემდეგ აღიარეს, როდესაც პოლონეთში აღმოჩენილ იქნა საბუთები, რომლებმაც მისი ასაკი დაადასტურეს. არქივში იპოვეს საბუთები, რომლებიც მოწმობდა, რომ მამაკაცი 1918 წელს ქალაქ ლოძში ცხოვრობდა და მაშინ ის 15 წლის იყო.



კრისტალი 1903 წლის 15 სექტემბერს ჟარნუვში დაიბადა (მაშინ ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა). შემდეგ მისი ოჯახი საცხოვრებლად ლოძში გადავიდა, სადაც მან მუშაობა საკონდიტრო ფაბრიკაში დაიწყო. ფაშისტური ოკუპაციის დროს ის მეუღლესთან ერთად ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. კრისტალის მეუღლე დაიღუპა. ომის ბოლოსთვის მამაკაცის წონა 37 კილოგრამს აღწევდა. შემდეგ კრისტალი ისრაელში გადასახლდა, სადაც საკონდიტრო მაღაზია გახსნა და მეორედ იქორწინა.

კრისტალის ყველაზე უხუცეს მამაკაცად აღიარებამდე ასეთად იაპონელი იასუტარო კოიდე ითვლებოდა, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში 112 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# სკანვორდი



1. ქალაქი რაჭაში; 2. ... მატიე; 3. ... ნიკიტინი (მოგზაური); 4. ჩანაფიქრი; 5. ომის უკუსიდიდე (ფიზიკა); 6. ალგორითმული ენა; 7. შუქფარი; 8. პარკოსანი მცენარე; 9. დაცლილი ვაზნა; 10. საპალტოე ქსოვილი; 11. ძაღლის ჯიში; 12. ლათინური ანბანის ასო; 13. მეორე ნოტი; 14. ...-მუსიკა; 15. აღმოსავლური ორთაბრძოლა; 16. შაქრის სუროგატი; 17. რისამე ჩასაწერი დავთარი; 18. ტაბლეტი; 19. რამის აღმნიშვნელი წინსართი; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. „... დაიდარდო!"; 22. წიწვოვანი ხე; 23. ინდოელი კინორეჟისორი; 24. შლამის თევზი; 25. სესხი; 26. ესპანელი აზნაური; 27. პატარა მზვერავი გემი; 28. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 29. ტურგენევის მოთხრობა; 30. მცირე არია; 31. სამოსელზე დაკერებული დაწნული ზონარი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუმატრა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ბაირამი; 5. ბურგუნდია; 9. „არიანი"; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუმო; 17. მანია; 18. ვირი.

**თარაზულად:** 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. ჰაკერი; 10. კამიუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ირლანდია; 20. ნეგროიდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „მაკბეტი"; 2. სიმინდი; 3. ჰინდიკუში; 4. სირაჯი; 5. ორღანი; 9. შაორი; 10. სტაპელი; 14. ციკლოტრონი; 15. ჯარაექიმი; 16. ანდორა; 19. ბოჭორმა; 20. საღამო; 21. ატლასი.

**თარაზულად:** 6. პარფიუმერია; 7. კოლიბრი; 8. „იბერია"; 11. მარჯანი; 12. ოდეტა; 13. ლუქსორი; 17. გარიბალდი; 18. კანდელაკი; 22. თაფლუჭი; 23. რეტორტა; 24. ომნიბუსი; 25. პიკადორი.

კალეიდოსკოპი

## ჰოლივუდის ვარსკვლავებმა კარდაშიანს მიბაძეს

ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის მიერ სოციალურ ქსელებში საკუთარ აკაუნტზე გამოქვეყნებულ შიშველ სელფის ცნობილი მსახიობების, მოდელებისა და მომღერლების მხრიდან მოჰყვა გამოხმაურება.



მას შემდეგ, რაც კარდაშიანმა ინსტაგრამში გამოაქვეყნა საკუთარი შიშველი სელფი, რასაც აქტიური ინტერნეტდისკუსია მოჰყვა, ანალოგიური საკუთარი ფოტოსურათები გამოაქვეყნეს მსახიობმა ბეტ მიდლერმა, მუსიკოს ოზი ოსბორნის მეუღლე შერონმა, ტელევარსკვლავმა კაილი კენერმა, მოდელმა ემილი რატაჟკოვსკიმ და სხვებმა, კინოს, შოუბიზნესისა და მოდის ინდუსტრიის ნაკლებად ცნობილმა მოღვაწეებმა.

მრავალ მათგანს, რომლებიც ფლეშმობს შეუერთდნენ, მიზნად კარდაშიანის მხარდაჭერა ჰქონდათ დასახული. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ მთელმა რიგმა ინტერნეტმომხმარებლებმა კარდაშიანი საკუთარი სხეულის დემონსტრირებით მეტისმეტი გატაცების გამო გააკრიტიკეს და ამით საკუთარი პერსონის მიმართ გადამეტებული ყურადღების მიპყრობის მცდელობა დასდეს ბრალად.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფლეშმობის ყველა მონაწილეს ბოლომდე არ მიუბაძავს კარდაშიანისთვის. მაგალითად, მისმა ნახევარდა კაილი ჯენერმა სელფი საცურაო კოსტიუმში გამოწყობილმა გადაიღო. ტელეწამყვანმა ელენ დეჯენერესმა ფოტოშოპით ისარგებლა და საკუთარი ფოტო კარდაშიანის სელფის უკანა პლანზე განათავსა.

## სოცმუშაკმა კინაღამ ინვალიდი იმსხვერპლა

ბრიტანეთის ქალაქ ლესტერში სოციალურმა მუშაკმა ემა პრაისმა პაკეტებისგან ხელების გათავისუფლების მიზნით, რათა სიგარეტი გაებოლებინა და ტელეფონზე ესაუბრა, ისინი ეტლში მჯდომ ინვალიდს დააწყო ისე, რომ მოხუცს



სახე აღარ უჩანდა. მომხდარის ამსახველი ფოტოსურათი ფეისბუქში საქველმოქმედო ორგანიზაციის გვერდზე იქნა განთავსებული, სადაც გოგონა მუშაობდა.

სანამ 25 წლის პრაისი პაკეტებს უკანვე აიღებდა, 70 მოხუც მამაკაცს სუნთქვა გაძნელებული ჰქონდა. მომხდარის მოწმემ შარლოტა შოუმ ფოტოსურათი საქველმოქმედო ორგანიზაციის გვერდზე ატვირთა. გარკვეული დროის შემდეგ სურათი გვერდიდან წაშალეს.

– თქვენმა თანამშრომელმა მას (ინვალიდს) ზევიდან დააწყო ჩანთები ისე, რომ მასზე საერთოდ არ უზრუნია. არა მგონია, ის იმსახურებდეს იმ ადამიანებთან მუშაობას, რომლებსაც მოვლა-პატრონობა სჭირდებათ, – დაწერა ფოტოსურათის ავტორმა.

– მისი (ინვალიდის) გასეირნების ნაცვლად მან მასთან მოიარა მაღაზიები და ნავაჭრით სავსე პაკეტები ზევიდან დააყარა, – განაცხადა პრაისის მეზობელმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

ინციდენტის გამოძიების შემდეგ პრაისი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

## ავსტრიაში მეძავი ღვთისმსახურს ფულს სძალავდა

ავსტრიაში სასამართლოს წინაშე მოუწია წარდგომა მეძავს, რომელიც კათოლიკე ღვთისმსახურს აშანტაჟებდა და მისთვის 400 ათასი ევროს გამოძალვას ცდილობდა. გამოძიების ვერსიით, 29 წლის ქალი, რომელიც ინტიმური მომსახურებითაა დაკავებული, ღვთის მსახურს ემუქრებოდა, რომ მასთან სექსის შესახებ მის სემინარიაში განაცხადებდა, ხოლო მისი დუმილისთვის მსხვილ თანხას მოითხოვდა.



როგორც საქმის მასალებიდან გახდა ცნობილი, ქალი ორწელიწადნახევრის განმავლობაში აშანტაჟებდა ამჟამად უკვე ყოფილ ღვთისმსახურს შვეიცარიის სემინარიიდან, როდესაც ის ავსტრიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მან აღიარა, რომ რეგულარულად სტუმრობდა მეძავს მის „სამუშაო ადგილზე", თუმცა ეს იმით ახსნა, რომ სურდა, მას გასაუბრებოდა და მხარში ამოსდგომოდა. ბრალდებულისა და დაზარალებულის სახელები უცნობია.

ქალის დამცველის თქმით, გამოძალვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და ღვთის მსახური საკუთარი ნებით აძლევდა ფულს მისი დაცვის ქვეშ მყოფს. ამასთან, თანხა მხოლოდ 60-70 ათას ევროს შეადგენდა. მან ასევე დაადასტურა, რომ მათი შეხვედრები მხოლოდ პლატონური ხასიათის იყო.

თავის მხრივ, მამაკაცმა განაცხადა, რომ თავდაპირველად მან მეძავს რვა ათასი ევრო მის მიმართ თანაგრძნობის გამოხატვის ნიშნად გადასცა, ვინაიდან გოგონამ შესჩივლა ცხოვრებისეული სირთულეებისა და მამის ავადმყოფობის გამო, თუმცა შემდეგ მისი დაშანტაჟება დაიწყო.

ამჟამად სასამართლო პროცესი გაურკვეველი ვადითაა გადადებული. ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ სასამართლო მეძავის სამშობლოდან, რუმინეთიდან, ზოგიერთი საბუთების მიღებას ელოდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## მეგი გოგიტიძე მეორე გოგონას დედა გახდა

ქართველი მომღერალი მეგი გოგიტიძე, რომელიც ფართო აუდიტორიამ სხვადასხვა მუსიკალური კონკურსითა და შოუთი გაიცნო, მეორე გოგონას დედა გახდა. პატარა ბარბარე ჩაჩავას კლინიკაში ფიზიოლოგიური მშობიარობის შედეგად გაჩნდა.

ინფორმაცია და ფოტოებიც ჩაჩავას კლინიკამ გაავრცელა:

– მომღერალი მეგი გოგიტიძე მეორე შვილის დედა გახდა! პატარა ბარბარე ფიზიოლოგიური მშობიარობის გზით ჩვენს კლინიკაში დაიბადა. მეან-გინეკოლოგ სოფო თამაზაშვილის ძალისხმევით მშობიარობამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა. დედიკოც და პატარაც თავს შესანიშნავად გრძნობენ.

მომღერალსა და მის მეუღლეს დათუნა მერაბიშვილს 2 წლის სიდონია ჰყავთ. ახლა მას პატარა დაიკო ბარბარე ჰყავს, რომელიც კლინიკიდან რამდენიმე დღეში გაეწერება.

## ფრედერიკ ბეგბედერს თბილისში ასობით ფანი შეხვდა



ფრან მწერალს, გახმაურებული „99 ფრანკის" ავტორ ფრედერიკ ბეგბედერს თბილისში ასობით ფანი შეხვდა. მწერალი საქართველოში სპეციალური ვიზიტით ჩამოვიდა.

ბეგბედერთან სელფისა და ავტოგრაფისთვის შეხვედრის ადგილას ცოცხალი რიგი გაჩნდა. შეხვედრაზე იმაზე გაცილებით მეტი ხალხი მივიდა, ვიდრე ამას ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, ამიტომ მკითხველთა ნაწილი უკმაყოფილო დარჩა შეხვედრით და პროტესტი გამოთქვა არაორგანიზებულობასთან დაკავშირებით.

მწერალმა თბილისში შეხვედრები ჟურნალისტებთან პრესკონფერენციით დაიწყო. ის მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. მწერალთა სახლში ბეგბედერი ქართველ კოლეგებს შეხვდა, სადაც ლიტერატურაზე ისაუბრა, მოგვიანებით კი კახეთს ესტუმრა და შატო მერეში ქართული ღვინო დააგემოვნა.

მწერლის ვიზიტის ფარგლებში კინოთეატრ „ამირანში" მისი ფილმის ჩვენება გაიმართა, რომელსაც ბეგბედერი რიგით მაყურებელთან ერთად დაესწრო.

## ნანუკა ჟორჟოლიანს სალომე ფაღავა დაუპირისპირდა



მსახიობი სალომე ფაღავა, რომელიც მაყურებელმა სერიალი „დეტექტივებიდან" გაიცნო, ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანს დაუპირისპირდა. მიზეზი ტელეწამყვანის მიერ მისი ერთ-ერთი ბოლო გადაცემის თემა – სექსი გახდა. ნანუკამ გულწრფელად განაცხადა, რომ „რედისონში" სექსი ექნებოდა, რასაც მსახიობის პროტესტი მოჰყვა:

– აი ემ ვ შოკე. ე.ი, თუ შემოგვაწვა ვნება, რა პრობლემაა, არ უნდა გვახსოვდეს არავინ ირგვლივ და როცა გვინდა, სადაც გვინდა .... ფუ, ამერია გული. უბრალოდ, გაუგებარია, ამ ქალისთვის ანუ ნანუკასთვის რა არის გასაკვირი, რომ არ ესიამოვნოს ადამიანს „რედისონის" მე-15 სართულზე გამოკიდებული წყვილის სექსი. სხვა თემა დაილია?



და საერთოდ, მე პირადად ის გოგო, რომელმაც ეს ყველაფერი დაინახა, თვალით არ მინახავს აქამდე, არც მისი ვინაობა ვიცი, არც აზროვნების შესახებ მსმენია რამე. ფაქტი ერთია და ნათელი, რომ ეგ ადამიანი ამ საკითხზე აბსოლუტურად სწორად მსჯელობს. ძალიან მაინტერესებს მართლა ოღონდ, და ღმერთმა დაუფაროს, მაგრამ ნანუკას ბიჭს ბიჭი რომ შეუყვარდეს, იმავე პასუხს გასცემს თავის შვილს? რომ ეგ სიყვარულია, დედიკო გენაცვალოს და აბა, შენ იცი, სულ იბედნიერეო?! ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი რეიტინგისთვის კეთდება და ეს ადამიანები „სახლში" სხვაგვარად ფიქრობენ!

## ერეკლე დეისაძე დააკავეს და გაათავისუფლეს



მუსიკოსი და მწერალი ერეკლე დეისაძე მთავრობის კანცელარიასთან გამართული საპროტესტო აქციის დროს დააკავეს, თუმცა რამდენიმე საათში ისევ გაათავისუფლეს.

თამარ ჩერგოლეიშვილის ინფორმაციით, ერეკლეს დაკავების მიზეზი კანცელარიის შენობაზე პორნოგრაფიის გავრცელება გახდა. საუბარია ფრანგი რეჟისორის გასპარ ნოეს ფილმზე „სიყვარული", რომელიც სამართალდამცველებმა პორნოგრაფიად შეაფასეს და მისი ჩვენება აკრძალეს.

კანცელარიასთან ერეკლე დეისაძემ პერფორმანსი „გასპარ ნოეს კიდობანი" მოაწყო, რამაც მისი დაკავება გამოიწვია. სამართალდამცველებმა არტისტს ბორკილები დაადეს და ორთაჭალაში გადაიყვანეს, რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ კი გაათავისუფლეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## პროგრამა

ორშაბათი
14 მარტი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მოულოდნელი ორსულობა**" 03.10 "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 09.00 მხ/ფ "**ეს საშინელი სიღარიბე**" 10.30 დ/ფ "ტაილანდი" 11.00 ქართ. მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" 12.30 დ/ფ "ფლორენცია-ტოსკანა" 13.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 2020.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35 , 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 1 სერ. 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ. "**კოლუმბიანა**" (ხ.მოლა) 02.10 მხ/ფ. "**ჩამშვებები**" (ს.სარანდონი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ."**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ."**აღთქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "**მანდარინები**" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00, 19.45 მულტფილმი 08.15, 18.05, 01.25 სერ. "**ღმერთების ხელდასმული**" 09.00, 21.00, 02.15 სერ. "**ბანდოლერა**" 09.50 ან/ფ "ბემბი" 11.05 გორდონ რამზის შოუ 12.00 დ/ფ "ჰოლივუდი" 12.55 ღია სტუდია 13.40 მუსიკა 14.00 მხ/ფ "**შობა უიღბლოებთან ერთად**" 15.35 წიგნის თარო 16.00 კარამელი 17.05 ეკვალაიზერი 19.00 ბიზნესკოდი 19.30, 01.10 საინფორმაციო გამოშვება 20.00 პრიორიტეტი 22.00 დე ფაქტო 23.00 სერ. "**დიდი გეგმა**" 23.35 მხ/ფ "**ველოსიპედების გამტაცებლები**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი 06.45 ქართული ალბომი 07.20 დ/ფ "ილია II" (ეპოქა) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მოკ. მხ/ფ "**მტრედები**" 13.00 სასულიერო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი I 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი-ორშაბათის (საკითხავი) 15.55 მხ/ფ "**მამლუქი**" 16.45 წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი (მსახურება) 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მარხვა 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**დიმიტრი** II" I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 21.25 პატერიკი-"როგორ აცხონა ბერმა თავისი მოწაფე" 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ ხომლი "რკონი" თეძამის ხეობა II ნაწ. 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**მოკალი სტალინი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4258 | ევრო — 2.6943 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4677 | 100 რუსული რუბლი — 3.4836 |

## ამინდის პროგნოზი 14 მარტისთვის








## 14 მარტიდან

„ახალ თაობასთან" ერთად

მუხრან მაჭავარიანი

100 ლექსი




## 7 მარტიდან!

„ახალ თაობასთან" ერთად

მურმან ლებანიძე

100 ლექსი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## კალეიდოსკოპი

### ცეცხლს გადარჩენილი ძაღლი მეხანძრე გახდა

ამერიკის სამხრეთ კალიფორნიის ქალაქ გუს-კრიკში ცეცხლს გადარჩენილი ძაღლი, სახელად ჯეიკი, მეხანძრე გახდა.

2014 წელს სახანძრო სამსახურის თანამშრომელმა ბილ ლინდლერმა მეზობლის სახლში ხანძარი შენიშნა. ის კოლეგებთან ერთად შევიდა ბინაში და იქ ჯეიკი იპოვა.



ლეკვს მეორე და მესამე ხარისხის დამწვრობა ჰქონდა მიღებული, სხეულის 75 პროცენტი დაზიანებული იყო. ლინდლერის თქმით, ცხოველების უმრავლესობა ასეთ შემთხვევაში იღუპება.

მეხანძრის მეზობლებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეეძლოთ ძაღლის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება და ლინდლერმა ჯეიკზე მზრუნველობა და მისი პატრონობა იკისრა. გამოჯანმრთელების შემდეგ ძაღლი სახანძრო სამსახურის ხშირი სტუმარი გახდა.

ძაღლი სამსახურში მეხანძრედ აიყვანეს. ის ასევე განყოფილების სიმბოლოდ დანიშნეს. ჯეიკი ლინდლერთან ერთად დადის სკოლებში და მოსწავლეებს „მოუთხრობს" სახანძრო უსაფრთხოების მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, ჯეიკს ხანძრის ჩაქრობის ადგილებში ცხელი საგნების პოვნას ასწავლიან.

### ალბინოს კენგურუს ამერიკელი ტურისტი გოგონა მოეწონა



ავსტრალიაში კენგურუ-ალბინოსს ამერიკელი ტურისტი გოგონა ისე ძალიან მოეწონა, რომ ჩაეხუტა, ეფერებოდა, კოცნიდა და აღარ უშვებდა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა.

სავარაუდოდ, კენგურუს ალერსი სურდა. ის სტუდენტ გოგონა ნიკოლს (გვარი უცნობია) ეხვეოდა და კოცნიდა მანამდე, სანამ გოგონას მეგობრები არ დაეხმარნენ და ალბინოსი-კენგურუსგან არ გაათავისუფლეს.

ნიკოლი ავსტრალიაში სტუდენტების ჯგუფთან ერთად ჩავიდა, ხოლო მისი ალბინოს კენგურუსთან შეხვედრა ველური ბუნების პარკ კავერშემში მოხდა.

ამერიკელი გოგონას ახლობელმა, რომელიც ვიდეოს იღებდა, განაცხადა, რომ მათ პირველად ნახეს კენგურუ და ეს მათთვის დაუვიწყარ მოგონებად დარჩება.

– ყოველთვის ხუმრობით ვამბობდი, რომ ნიკოლი მომხიბვლელ ავსტრალიელ ახალგაზრდას შეხვდებოდა და, მგონი, მისი სურვილი ასრულდა, – განაცხადა გოგონას ახლობელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველომ რუსეთი სოჭში დასცა



**რუსეთი – საქართველო 7:24**

**საქართველო:** კვირიკაშვილი, აფციაური (გიორგაძე 76), კაჭარავა, მჭედლიძე (მალაღურაძე 65), თოდუა, ხმალაძე, ბეგაძე (ლობჟანიძე 69); ასიეშვილი (ჟვანია 55), მამუკაშვილი (ბრეგვაძე 55), ფეიქრიშვილი (მელიქიძე 62), ჩხაიძე (მიქაუტაძე 62), ნემსაძე, სუთიაშვილი, შუბითიძე (გორგაძე 56), ლომიძე

რაგბის ევროპის ჩემპიონატის მე-4 ტურის მატჩში რუსეთმა ბორჯღალოსნებს სოჭში უმასპინძლა, ჟურნალისტებს – ნატახტარმა ივენთ ჰოლში და ისეთ ეკრანზე გვაჩვენა თამაში, თავი სტადიონზე გვეგონა.

ამ გამარჯვებით ბორჯღალოსნებმა რაგბის ევროპის ჩემპიონის ტიტული ერთი ტურით ადრე გაინაღდეს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ – ხარისხიანი თამაშით. უამრავი წუნი იყო და, მიუხედავად სოლიდური გამარჯვებისა, მეტის მოლოდინი გვქონდა. ეს იმიტომ, რომ წინ უმნიშვნელოვანესი და ყველაზე პრინციპული მატჩია რუმინეთთან.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. დახურული ოთხთვალა ეტლი; 4. ხის ქერქვეშა მკვრივი ნაწილი; 7. დიდი ხმაური; 9. კამეჩის ხმიანობა; 11. კურკოვანი ხილი; 12. სუნთქვისა და წვისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტი; 13. ჩქარი წვიმა; 17. ლომების ოჯახი; 18. მირტყმული ადგილი შუბლზე; 19. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 20. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. სინემა; 2. საპალტოე ქსოვილი; 3. რკინიგზის მუშა; 5. მინანქარი; 6. მჭედელი; 8. ყუთი ეკრანით; 10. ლიტერატურასა და ხელოვნებაში სანიმუშო ნაწარმოები; 12. პერიოდული გამოცემა წიგნის სახით; 14. ცირკის მოედანი; 15. რისამე ზღვრული ნორმა; 16. წიწვოვანი ტყის ზოლი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ცოლი გამებუტა და ხმას არ მცემს.

– მერე, რას აპირებ?

– რა გულუბრყვილოა, ის ჩემი მესამე ცოლია და გაბუტვაში ჩემპიონი ვარ. ორ დღეს თავისუფლად ავიტან მის გაბუტვას.

– ორ დღეს, მეტს არა?

– ვერც ერთი ქალი ვერ გაძლებს ორ დღეზე მეტს, თავისი ბედნიერი მეუღლის სახის ხილვისას.

●●●

ბაზრობიდან სახლში დაბრუნებულმა ქმარმა ცოლს პაკეტი გაუწოდა, რომელშიც ჭუჭყიანი და პატარა კვერცხები ეწყო. ქალმა მეუღლეს ამისთვის ყვირილი დაუწყო. კაცმა პაკეტს ხელი დაავლო, სააბაზანოში შევიდა და კვერცხების რეცხვა დაიწყო, ცოლიც უკან მიჰყვა, ისე, რომ ყვირილი არ შეუწყვეტია. ამ დროს სახლის ტელეფონი რეკავს, ყურმილი ბავშვმა აიღო და პასუხობს:

– ალო...

– მამა სახლშია?

– მამა სააბაზანოში კვერცხებს რეცხავს.

– ... დედა?

– დედა თავზე ადგას და კვერცხების გამო ლანძღავს.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამი, ახალ ფეხსაცმელებს ხომ მიყიდი?

– აბა რას ვიზამ, მა ჩვენი მანქანასავით კუნძებზე ხომ არ დაგაყენებ!

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი თავის შეუხედავ ცოლთან მამაკაცს შეუსწრებს და გაკვირვებული ეკითხება:

– კაი, მე ვალდებული ვარ, რომ მაგასთან დავწვე და შენ ვინ დაგაძალა?

●●●

კაცი სიდედრს ადღეგრძელებს:

– გაგიმარჯოს, 120 წელი იცოცხლე.

– არა შვილო, ნამეტანი ბევრია, გენაცვალე.

– მაშინ 100 წელი იცოცხლე.

– არა, ეგეც ბევრია, შვილო.

– კაი, მაშინ 80 წელი იცოცხლე.

– არა შვილო, ეგეც ბევრია.

– მაიტა, ეს ჭიქა დამალევინე და ამის დაცლა და შენი გასვენება ერთი იყოს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**